# შირაქი

**SHIRAKI**

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№29 (10.134)

17-24 აგვისტო, 2024 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


# „რთველი -2024“-ისთვის ემზადებიან

***მოახლოებულ რთველთან დაკავშირებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე გივი მეტრეველი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, მერის მოადგილეები და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.***

სამუშაო შეხვედრაზე აღინიშნა, რომ 2024 წლის რთველის მხარდასაჭერად, მთავრობის გადაწყვეტილებით, სუბსიდირების სახელმწიფო პროგრამა განხორციელდება. რთველის სუბსიდირება მიმდინარე წელსაც განხორციელდება, რათა სრულად დაბინავდეს მოსავალი და ფერმერებმა მიიღონ ადეკვატური შემოსავალი, განაცხადა პრემიერმა.

წელს სახელმწიფო სუბსიდიას მიიღებენ ის კომპანიები, რომლებიც 2024 წლის რთველის განმავლობაში შეიძენენ და გადაამუშავებენ კახეთის რეგიონში მოწეულ არანაკლებ 100 ტონა რქაწითელის ჯიშის ყურძენს და შესყიდული 1 კგ. ყურძნის სანაცვლოდ, მევენახეს გადაუხდიან არანაკლებ 1.00 ლარს. კახეთის რეგიონში, მევენახის მიერ მოწეული ყურძნის შესყიდვის სანაცვლოდ, კომპანიებზე გასაცემი სუბსიდია შეადგენს 0,20 ლარს.

ყურძნის რთველი საქართველოში შემოდგომაზე კახეთის რეგიონიდან იწყება და მთიან რაიონებში მთავრდება. რთველის სუბსიდირების პროგრამა დარგში პანდემიის გამოწვეული კრიზისის გამო 2020 წელს დაიწყო და შემდეგი სამი წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლება ამ პროგრამას ახანგრძლივებდა.

„რთველის სუბსიდირება მიმდინარე წელსაც განხორციელდება, რათა სრულად დაბინავდეს მოსავალი და ფერმერებმა მიიღონ ადეკვატური შემოსავალი, ასევე, ღვინის ინდუსტრიამ შეძლოს ბოლო წლების სტაბილური განვითარების ტემპის შენარჩუნება“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.



მთავრობის მეთაურის თქმით, 2024 წელს სუბსიდირება მხოლოდ რქაწითელის ჯიშის ყურძენს შეეხება.

„მთავრობის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო სუბსიდიას მიიღებს ის კომპანია, რომელიც 2024 წლის რთველის განმავლობაში შეიძენს და გადაამუშავებს რეგიონში მოწეულ არანაკლებ 100 ტონა რქაწითელის ჯიშის ყურძენს და, შესყიდული ერთი კილოგრამი ყურძნის სანაცვლოდ, ყურძნის ჩამბარებელს გადაუხდის არანაკლებ ერთ ლარს“, - განაცხადა კობახიძემ.

მისივე თქმით, ამ შემთხვევაში სუბსიდიის ოდენობა კილოგრამზე 0,2 ლარს შეადგენს. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ წელს 300 ათას ტონა მოსავალს ელოდებიან.

„2024 წელს ყურძნის საპროგნოზო მოსავალი შეადგენს დაახლოებით 300 ათას ტონას. ძალიან მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ მიიღოს ყველა ზომა იმისთვის, რომ ეს მოსავალი სათანადოდ დაბინავდეს, მოხდეს ამ მოსავლის სათანადოდ რეალიზაცია“, – განაცხადა კობახიძემ.

მან ასევე აღნიშნა ის პროგრესი, რომელიც მიღწეულია მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების კუთხით და აღნიშნა, რომ კადასტრის ეროვნული პროგრამის მონაცემებით, რომელიც განხორციელდა 2014-2023 წლებში, დღეისათვის ვენახების ფართობი ქვეყნის მასშტაბით გაორმაგებულია.

„მევენახეების მიერ რეგიონებში გაშენებულია 50 000 ჰა-მდე ახალი ვენახი, ესეც არის, ვფიქრობ, ძალიან სერიოზული წინსვლა ამ დარგში. 2012 წელს რეგისტრირებული იყო სულ 40 კომპანია, რომლებიც აწარმოებდნენ ღვინოს ჩვენს ქვეყანაში; დღეის მდგომარეობით, რეგისტრირებული კომპანიები - საშუალო და მცირე მარნების რაოდენობა 3000-ს აღწევს, აქედან 500-ამდე მწარმოებელი ღვინის ექსპორტსაც ახორციელებს“, - აღნიშნა კობახიძემ.

პრემიერის თქმით, ექსპორტის მაქსიმალური მაჩვენებელი დაფიქსირდა შარშან, მსოფლიოს 66 ქვეყანაში ექსპორტირებული იყო 260 მლნ დოლარის ღირებულების ღვინო, მაშინ როცა 2012 წელს ანალოგიური მაჩვენებელი იყო 71 მლნ დოლარი.

2012 წელს გადამუშავდა სულ 52.000 ტონა ყურძენი, ხოლო 2023 წელს გადამუშავებული ყურძნის მოსავალმა 221.000 ტონაზე მეტი შეადგინა.

რაც შეეხება შემოსავლებს, 2012 წელს მევენახეობის შემოსავალი ჯამურად შეადგენდა დაახლოებით 50 მლნ ლარს, 2023 წელს ეს მაჩვენებელი გაიზარდა 306 მლნ ლარამდე.

2023 წლიდან საქართველოში ყურძნის რეალიზაცია გაადვილდა. ნებისმიერ მეღვინეს შეუძლია დარეგისტრირდეს საკოორდინაციო შტაბში, რათა ხელი შეუწყოს რთველის ორგანიზებულ ჩატარებას, მიუთითოს ყურძნის რაოდენობა და ფასი, რომლითაც სურს პროდუქტის შეძენა. ამის შემდეგ ყურძნის ჩაბარების მსურველი ფერმერი მიმართავს შტაბს და ეძებს კომპანიას, რომელიც მისგან მოსავალს ხელმისაწვდომ ფასად შეისყიდის.

2024 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისამდე საქართველომ 156,6 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ღვინო გაიტანა, რაც 24,2%-ით მეტია 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

***ინგა შიოლაშვილი***

# უჩვეულო სანახაობა შირაქის აეროდრომზე




***საზოგადოებრივი მაუწყებლის ფოტოგრაფმა ირაკლი გედენიძემ დედოფლისწყაროში შირაქის მიტოვებული ავიაბაზიდან პერსეიდების მეტეორთა ნაკადი გადაიღო. პერსეიდები მეტეორთა ნაკადია, რომელიც ყოველი წლის აგვისტოში ჩნდება, პერსევსის თანავარსკვლავედის მიმართულებით. წარმოიშვება მაშინ, როდესაც დედამიწა კომეტა სვიფტ-ტატლის ორბიტას კვეთს. კომეტის ზედაპირიდან ამოსული მტვრის მიკროსკოპული ნაწილაკები ჩვენი პლანეტის ატმოსფეროში შემოსვლისას იწვის და წარმოქმნის ე.წ. ვარსკვლავთა წვიმას.***



## ქვეყნის სიყვარული, პროფესიონალიზმი, სანდოობა, კეთილსინდისიერება და ხალხის სიყვარული – ეს არის ის კრიტერიუმები, რომლებითაც შევარჩიეთ დელეგატები

ქვეყნის სიყვარული, პროფესიონალიზმი, სანდოობა, კეთილსინდისიერება და ხალხის სიყვარული - ეს არის ის კრიტერიუმები, რომლებითაც ჩვენ შევარჩიეთ ჩვენი დელეგატები და არა მაჟორიტარები, როგორც ამას ჩვენი ოპონენტები ამბობენ, - ამის შესახებ „ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა, მამუკა მდინარაძემ საარჩევნო ოლქებში „ქართული ოცნების“ დელეგატებთან დაკავშირებით დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

მდინარაძის თქმით, დელეგატებთან დაკავშირებით ოპოზიცია პიარის ცრუ გზას დაადგა.

„შესაბამის ოლქებში 30 ადამიანი ვერ შეარჩიეს, რომლებსაც მიაწერენ გვერდში, რომ ისინი იქნებიან საქართველო პარლამენტში მათი წარმომადგენელი გასვლის შემთხვევაში. არც იმდენი რეიტინგი აქვთ, რომ გამსვლელის სიაში ჩაწერონ ასეთი ადამიანები, არც ავტორიტეტული ადამიანები ჰყავთ დელეგატებად რომ დააყენონ, ამიტომ ისინი ცრუ პიარის გზას დაადგნენ , როგორსაც აქამდე აკეთებდნენ“,- განაცხადა მდინარაძემ.

ამასთან, კითხვაზე დეპუტატ, ფრიდონ ინჯიას მიერ „რუსული კანონისთვის“ მხარდაჭერის გამო შეიყვანა თუ არა „ოცნებამ“ მისი შვილი, ილია ინჯია დელეგატების სიაში, მდინარაძე პასუხობს, რომ ილია ინჯიას პერსონალური დახასიათებიდან გამომდინარე მოხვდა სიაში და არა იმიტომ, რომ ფრიდონ ინჯიას შვილია.

„რუსული კანონი“ არ არსებობს და „რუსული კანონისთვის“ არავის დაუჭერია მხარი იმიტომ, რომ ჩვენი პარლამენტის წევრთაგან არავინ ყოფილა რუსეთის დუმაში. ილია ინჯია არის ადამიანი, რომელსაც ჩვენი გუნდის წევრები ძალიან კარგად იცნობენ. მე, მას ბოლო დღეებში შევხვდი და კონსულტაციები გვქონდა. ჩემზეც იგივე შთაბეჭდილება დატოვა, რაც იმ ადამიანებზე, რომლებსაც მას პოზიტიურად ახასიათებდნენ, შესაბამისად, ეს გახდა ჩვენ სიაში მოხვედრის მთავარი ფაქტორი. შვილები ძალიან ბევრ ადამიანს ჰყავს, მათ შორის, ძალიან კარგი შვილები ჰყავთ ჩვენი პარლამენტის წევრებს, მაგრამ ყველასთან დაკავშირებით არ გვისაუბრია, რომ ისინიც გამხდარიყვნენ პარლამენტის წევრები. ამიტომ, ილია ინჯიას პერსონალური დახასიათებიდან გამომდინარე მოხდა სიაში და მამა-შვილობა არაფერ შუაშია. ის არის წარმატებული ბიზნესმენი. გუშინ წინ დავრწმუნდი, რომ მისი ხედვები ემთხვევა ჩვენსას. ეს ადამიანი პრაგმატულად აზროვნებს“, - განაცხადა მდინარაძემ.

## რეგიონული ახალგაზრდული ინიციატივების მხარდასაჭერად განაცხადების მიღება განახლდა

საგრანტო კონკურსის მიზანია საინიციატივო ჯგუფების, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და ახალგაზრდების გაძლიერება, ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებაში მონაწილეობის, ხარისხიანი სერვისების შექმნისა და მათი ხელმისაწვდომობის ზრდის უზრუნველსაყოფად.

-საგრანტო პროექტის წარმოდგენის უფლება აქვს რეგიონში მცხოვრებ:

-არასამეწარმეო იურიდიულ პირს - ახალგაზრდულ ორგანიზაციას;

-ფიზიკურ პირს, რომელიც საგრანტო პროექტის განხორციელების მიზნით, საინიციატივო ჯგუფში აერთიანებს რეგიონში მცხოვრებ არანაკლებ ხუთ ახალგაზრდას.

-კონკურსის საერთო ბიუჯეტია 600 000 ლარი. ერთი საგრანტო პროექტის მაქსიმალური დაფინანსება შეადგენს 15 000 ლარს.

-საკონკურსო განაცხადები მიიღება ყოველი თვის 13 რიცხვიდან 25-ის ჩათვლით, ელექტრონულ ფოსტაზე - grants-1@youthagency.gov.ge. საგრანტო კონკურსი სრულდება 2024 წლის 10 ნოემბერს.

## წნორში ნახევარფაბრიკატის ნიმუშში სალმონელა გამოვლინდა

***წნორში ნახევარფაბრიკატის ნიმუშში სალმონელა გამოვლინდა.***

სურსათის ეროვნული სააგენტოს ცნობით, ლაბორატორიული კვლევის დასრულებისთანავე ნახევარფაბრიკატების მწარმოებელ ბიზნესოპერატორთან განხორციელდა არაგეგმური ინსპექტირება, რის შედეგადაც მეწარმე დაჯარიმდა და შეუჩერდა საწარმოო პროცესი, ასევე დაევალა გაყინული ნახევარფაბრიკატის - კატლეტის რეალიზაციიდან ამოღება, დასაწყობება, რაოდენობის აღრიცხვა და მიღებული ზომების თაობაზე სააგენტოს დაუყოვნებლივ ინფორმირება.

„კახეთის რეგიონული სამმართველოს უფლებამოსილმა პირებმა ინდივიდუალური მეწარმის სარეალიზაციო ობიექტიდან (სიღნაღი, ქ. წნორი, თავისუფლების ქ. 13) ნახევარფაბრიკატის - კატლეტის ნიმუშები (მწარმოებელი ი/მ, ქ. წნორი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N31) აიღეს. სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიიდან კვლევის მიღებული შედეგების თანახმად კი აღებული 5 ნიმუშიდან 2 ნიმუშში აღმოჩენილია პათოგენური მიკროორგანიზმი სალმონელა (SALMONELLA).

ლაბორატორიული კვლევის დასრულებისთანავე ნახევარფაბრიკატების მწარმოებელ ბიზნესოპერატორთან განხორციელდა არაგეგმური ინსპექტირება, რის შედეგადაც მეწარმე დაჯარიმდა და შეუჩერდა საწარმოო პროცესი, ასევე დაევალა გაყინული ნახევარფაბრიკატის - კატლეტის რეალიზაციიდან ამოღება, დასაწყობება, რაოდენობის აღრიცხვა და მიღებული ზომების თაობაზე სააგენტოს დაუყოვნებლივ ინფორმირება.

სალმონელოზი ბაქტერიოლოგიური ეტიოლოგიის ზოონოზური დაავადებაა, რომელიც ადამიანს სურსათისგან, განსაკუთრებით ხორცისა და მისგან დამზადებული პროდუქტისგან გადაეცემა. დაავადების გამომწვევი სალმონელები მიეკუთვნებიან ენტერობაქტერიების ოჯახს და სალმონელების გვარს, რომელიც 2500-ზე მეტ სეროვარს მოიცავს, უმრავლესობა პათოგენურია როგორც ადამიანისთვის, ისე ცხოველებისა და ფრინველებისათვის.

სალმონელოზის პრევენციის მიზნით, მნიშვნელოვანია სურსათის წარმოების მთლიან ჯაჭვში (სასაკლაო, ხორცისა და ხორცის პროდუქტების გადამამუშავებელი, სარეალიზაციო და საზკვების ობიექტები) წარმოების და ჰიგიენის სანიმუშო პრაქტიკის დანერგვა“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

## საქართველომ საერთაშორისო მართვის მოწმობების გაცემა დაიწყო

საქართველოს შინაგან საქმეთა მომსახურების სააგენტომ „საგზაო მოძრაობის შესახებ“ ჟენევის 1949 წლის 19 სექტემბრის კონვენციით გათვალისწინებული საერთაშორისო მართვის მოწმობის გაცემა დაიწყო.

უწყების ცნობით, საერთაშორისო მართვის მოწმობა გაიცემა ერთი წლის ვადით, ეროვნული მართვის მოწმობის საფუძველზე და დოკუმენტი საქართველოს ფარგლებს გარეთ ჟენევის კონვენციის წევრ ქვეყნებში იმოქმედებს.

მოწმობის ღირებულება 109 ლარია.

მომსახურების სააგენტოს მიერ, ასევე „საგზაო მოძრაობის შესახებ“ ვენის 1968 წლის 8 ნოემბრის კონვენციით გათვალისწინებული საერთაშორისო მართვის მოწმობა გაიცემა, რომელიც მოქმედია 3 წლის ვადით. დოკუმენტი საქართველოს ფარგლებს გარეთ ვენის კონვენციის წევრ ქვეყნებში მოქმედებს.

საერთაშორისო მართვის მოწმობის მისაღებად დაინტერესებულმა პირმა მომსახურების სააგენტოში შემდეგი საბუთები უნდა წარადგინოს:

- ***პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;***
- ***ეროვნული მართვის მოწმობა.***

## შალვა პაპუაშვილი - კვლევების და რიცხვების გარეშეც განწყობები ნათელია, ამას ვატყობთ ოპოზიციასაც, რომელიც, როგორც იქნა, გავიდა რეგიონში

„როგორ შეიძლება სხვანაირი შედეგი იყოს, როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ქართველი ხალხი თავს მოატყუებინებს „ნაციონალურ მოძრაობას“ იმით, რომ სხვადასხვა ჯგუფებად დაიყოფიან,“ - ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა „გორბის“ კვლევის შედეგებზე საუბრისას განაცხადა.

როგორც შალვა პაპუაშვილმა აღნიშნა, „გორბის“ კვლევა საზოგადოებრივ განწყობებს ასახავს, რომელსაც რეგიონებში გასული ოპოზიციაც კარგად ხედავს.

„კვლევების და რიცხვების გარეშეც განწყობები ძალიან ნათელია. ამას ვატყობთ ოპოზიციასაც, რომელიც რეგიონში როგორც იქნა გავიდა, აქამდე სტუდიებიდან ვერ გამოდიოდნენ. გავიდნენ რეგიონში და ვატყობთ მათაც, რომ გრძნობენ, რა განწყობებია მოსახლეობაში და ამას ასახავს საბოლოო ჯამში კვლევები. როგორ შეიძლება სხვანაირი შედეგი იყოს, როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ქართველი ხალხი თავს მოატყუებინებს „ნაციონალურ მოძრაობას“ იმით, რომ სხვადასხვა ჯგუფებად დაიყოფიან . ამით ფიქრობენ, რომ ვინმეს მოატყუებენ, რომ ხმა მიაცემინონ „ნაციონალური მოძრაობისთვის“ და დააბრუნებინონ ის ძალადობრივი რეჟიმი, რაც მათ ჰქონდათ დამყარებული. ეს არის ლოგიკური შედეგი. ქართველმა ხალხმა არაერთხელ აჩვენა სიბრძნე. შედეგს საბოლოო ჯამში 26 ოქტომბერს ვნახავთ“, - განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

ცნობისთვის, ტელეკომპანია „იმედის“ დაკვეთით GORBI-მა საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები გამოაქვეყნა.

კითხვაზე, **საპარლამენტო არჩევნები ამ კვირას რომ ტარდებოდეს, ვის მისცემდით ხმას?** - მიღებული პასუხების შედეგად, პარტიების პოლიტიკური რეიტინგები ალოკაციით შემდეგნაირად გადანაწილდა:

**„ქართული ოცნება“ - 59.3%;**

**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ /„სტრატეგია აღმაშენებელი“ - 13.1%;**

**კოალიცია „ლელო“/„ანა დოლიძე - ხალხისთვის“/„თავისუფლების მოედანი“ - 5.8%;**

**კოალიცია „ახალი“/„გირჩი - მეტი თავისუფლება“/„დროა“ - 5.5%;**

**„საქართველოსთვის“ - 4.8%;**

**„საქართველოს პატრიოტთა ალიანსისა“ და „ალტ ინფოს“ კოალიცია - 3%;**

**„ევროპული საქართველო“ - 2.2%;**

**„ახალი პოლიტიკური ცენტრი გირჩი“ - 2.1%;**

**სხვა - 4.2%.**

## შალვა პაპუაშვილი - ჩვენ ღალატს ვუყურებდით! ნაცმოძრაობა ომის დანაშაულს ჯარისკაცებს აბრალებდა

ჩვენ შევძელით ის, რომ შემოვაბრუნეთ საერთაშორისო სასამართლოებში მიმდინარე დავები და გავამართლეთ ქართველი ჯარისკაცები, რომლებსაც ომის დანაშაულს „ნაციონალური მოძრაობა“ აბრალებდა, - ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა ჟურნალისტებთან განაცხადა.

მისივე თქმით, „ქართულმა ოცნებამ“ შეძლო ის, რომ ჰააგისა და სტრასბურგის სასამართლოებს საქართველოს ტერიტორიების რუსეთის მხრიდან ოკუპაცია ეღიარებინათ და ქართველი სამხედროები ომის დანაშაულის ბრალდებაში გაემართლებინათ.

„ვფიქრობ, მნიშვნელოვანია ის, რომ ღალატი, რომელიც ჩვენს თვალწინ მიმდინარეობდა და, ახლა თავს ნუ მოიტყუებს ნურავინ, ამ ღალატს ჩვენ ვუყურებდით. ჩვენ ვართ ამ ქვეყნის მოქალაქეები, გამოვიარეთ 2008 წლის აგვისტო, როგორც მოქალაქეებმა და ეს ყველაფერი ხდებოდა ჩვენს თვალწინ.

ჩვენ ვნახეთ „ნაციონალური მოძრაობა“, რომელმაც მხარი დაუჭირა რეზოლუციას, რომლითაც ისინი ხელს ადებდნენ ქართველ ჯარისკაცებს და აბრალებდნენ ომის დანაშაულს. ჩვენ ვნახეთ „ნაციონალური მოძრაობა“, რომელმაც აღიარა ტალიავინის დასკვნა, რომლის მიხედვითაც, მიხეილ სააკაშვილი იყო ის, ვინც ცეცხლი გახსნა. ეს არის ყველა ის გადაწყვეტილება, რომლის თანამონაწილეც არის „ნაციონალური მოძრაობა“. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია, ტალიავინის დასკვნა, რომელსაც ისინი დაეთანხმნენ და ა.შ. ყველაფერ ამას, რა თქმა უნდა, უნდა გაეცეს პასუხი.

ჩვენ შევძელით ის, რომ შემოვაბრუნეთ საერთაშორისო სასამართლოებში მიმდინარე დავები და გავამართლეთ ქართველი ჯარისკაცები, რომლებსაც ომის დანაშაულს „ნაციონალური მოძრაობა“ აბრალებდა.

ჰააგის სასამართლომ დაადგინა, რომ 2008 წლის აგვისტოში ერთადერთი, ვინც ჩაიდინა ომის დანაშაული, ეს იყო სეპარატისტული რეჟიმი და რუსი სამხედროები. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლო დონეზე აღიარებული იქნა, რომ საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებული აქვს რუსეთს. შევძელით ის, რომ ვაღიარებინეთ სტრასბურგის სასამართლოს რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია და ვაღიარებინეთ ჰააგის სასამართლოს, რომ ომის დანაშაულები მხოლოდ სეპარატისტულმა რეჟიმმა და რუსმა სამხედროებმა ჩაიდინეს“, - განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

## შინდისის გმირის ხსოვნას ტურნირი მიეძღვნა



11 აგვისტო შინდისის გმირების დღეა. დედოფლისწყაროს სოფელ ფიროსმანში, ამ დღისადმი მიძღვნილი თეიმურაზ ბერიძის სახელობის ტრადიციული ტურნირი გაიმართა მინი ფეხბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სოფელ ფიროსმანის „ქვედა უბნის" და „შუა უბნის" გუნდები. ანგარიშით 2:1 გამარჯვებული გახდა „შუა უბნის" გუნდი.. გამარჯვებულ გუნდს გადაეცა თეიმურაზ ბერიძის სახელობის თასი, ხოლო, მეორე და მესამე ადგილზე გასულ გუნდებს - მედლები და სიგელები.

მატჩის დაწყებამდე, მამა აკაკიმ (შაინიძე), შინდისის გმირების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა. ამ სოფლის მკვიდრი თეიმურაზ ბერიძე შინდისის ერთერთი გმირი იყო, რომელიც 2008 წელს აგვისტოს ომში გმირულად დაეცა.

# ვინ იქნება დედოფლისწყაროს დეპუტატი ახალ პარლამენტში?

***ახალი მოწვევის პარლამენტს ორიოდ თვეში ავირჩევთ. 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები გარდა იმისა, რომ ელექტრონულად იმართება, მხოლოდ პროპორციული სისტემით ტარდება. გაუქმდა მაჟორიტარები და 150-ივე წევრი საარჩევნო სიის მიხედვით მიიღებს მანდატს. დიდი ხანია ითქვა, რომ რეგიონების ინტერესების დასაცავად მაჟორიტარული სისტემის გაუქმების შემდეგ პარლამენტში სხვა ფორმა მოინახებოდა. გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, მომავალ პარლამენტში ვინ იქნება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის დეპუტატი.***

ამ დრომდე ქართულ ოცნებას პარტიული სია არ წარუდგენია. პრემიერი კობახიძე ამბობს, რომ სიის გასაჯაროვება ჯერ ადრეა და ის ვადების დაცვით გამოქვეყნდება. თუმცა, მმართველმა პარტიამ 15 აგვისტოს დაადასტურა, რომ ოქტომბრიდან მაჟორიტარების ფუნქციას პარტიული სიით გასული დეპუტატები შეითავსებენ და მათ ამა თუ იმ რეგიონის დელეგატი ერქმევა. პარტიის ცნობით, ამჟამად მოქმედი მაჟორიტარების დიდი ნაწილი ახალ სიაში ისევ იქნება.

ორიოდ დღის წინ დადასტურდა ისიც, რომ დედოფლისწყაროს მაჟორიტარის ფუნქცია კვლავაც დავით სონღულაშვილს დაეკისრება და მას დედოფლისწყაროს დელეგატი ერქმევა. ამჟამად, მოქმედი პარლამენტის მსგავსად, დავით სონღულაშვილი ასევე შეითავსებს სიღნაღის, გურჯაანისა და საგარეჯოს დელეგატობასაც. ყველა რაიონის დელეგატის სარეკლამო ფოტოები პარტია ქართული ოცნების პოლიტსაბჭომ ორიოდ დღის წინ გამოაქვეყნა. რამდენიმე მუნიციპალიტეტში ახალი სახეა შეთავაზებული, უმრავლესობაში კი მმართველი გუნდი, როგორც ჩანს, მოქმედი დეპუტატის განმეორებით წარდგენას გეგმავს.



დავით სონღულაშვილი 2016-2020 წლებში გურჯაანის მაჟორიტარი იყო, შემდეგ კი, ოლქების გამსხვილების გამო, მას მეზობლად მდებარე სამი საარჩევნო ოლქიც შეუთავსეს. ასე რომ, ახალი მოწვევის პარლამენტში დედოფლისწყაროელების ინტერესებს ამჯერადაც დავით სონღულაშვილი დაიცავს, ამჯერად დელეგატის სტატუსით.

ამჟამად პარლამენტის წევრის რაიონული ბიუროები ყველა მუნიციპალიტეტში მოქმედებს, ადგილზე დეპუტატის წარმომადგენლები მუშაობენ და ამომრჩევლებს ყოველდღიურად შეუძლიათ ბიუროს მიმართონ და დეპუტატთან კომუნიკაცია ჰქონდეთ. იყო მოლოდინი, რომ რადგან მაჟორიტარული სისტემა უქმდება, შესაძლოა რაიონებში მაჟორიტარული დეპუტატის ბიუროები მთლიანად გაუქმებულიყო და თანხები დაზოგილიყო. ჯერ ხაზგასმით არ თქმულა, დელეგატებსაც შეუნარჩუნდებათ თუ არა ქალაქებში რაიონული ოფისები და თანამშრომლები, მაგრამ თუ პარლამენტის წევრებს ეს ფუნქციები ისევ რჩებათ, რაიონული ბიუროების საჭიროება ისევ იქნება.

16 აგვისტოს მაჟორიტარების მომავალთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გაავრცელა პრემიერმა ირაკლი კობახიძემ.

„როგორც მოგეხსენებათ, 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება სრულად პროპორციული სისტემით. ასევე იცით, რომ მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას აქვს სერიოზული უარყოფითი მხარეები, რაც, პირველ რიგში, ამომრჩეველსა და კანდიდატებს შორის კავშირის შესუსტებით გამოიხატება. ამ ნაკლოვანების გარკვეულწილად აღმოსაფხვრელად, საარჩევნო კანონმდებლობით შემოღებულ იქნა დელეგატის ინსტიტუტი.

შეგახსენებთ, რომ დელეგატები არიან პარტიის პროპორციულ საარჩევნო სიაში წარმოდგენილი კანდიდატები, რომლებიც კონკრეტულ საარჩევნო ოლქებში კამპანიის წარმოებაზე და უკვე არჩევნების შემდეგ, საქართველოს პარლამენტში შესაბამისი ამომრჩევლის ინტერესების დაცვაზე იქნებიან პასუხისმგებელი.

„ქართული ოცნება“ დელეგატებს წარადგენს ოცდაათივე საარჩევნო ოლქში. დღეს წარმოგიდგენთ 22 დელეგატს, რომლებიც ჩვენს საარჩევნო კამპანიას გაუძღვებიან რეგიონებში.

ყველა დელეგატი „ქართული ოცნების“ პროპორციულ სიაში იქნება წარმოდგენილი გამსვლელ ადგილზე. შესაბამისად, ჩვენ ვუზრუნველვყოფთ იმას, რომ მომდევნო მოწვევის პარლამენტში უკლებლივ ყველა ქალაქს და რეგიონს ეყოლება თავისი წარმომადგენელი და ამით ნაწილობრივ იქნება აღმოფხვრილი ის ნაკლოვანება, რომელიც არის დაკავშირებული მაჟორიტარული სისტემის გაუქმებასთან“ – აღნიშნულია ირაკლი კობახიძის განცხადებაში.

***ილია მარტყოფლიშვილი***

## ცესკო-მ რეგიონულ მედიასთან სამუშაო შეხვედრა გამართა




რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან საარჩევნო სიახლეებზე, ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვასა და სხვა მნიშვნელოვან საარჩევნო საკითხებზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრა ცესკოს თავმჯდომარე **გიორგი კალანდარიშვილმა** და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილემ საქართველოში **დავით ღონღაძე**მ გახსნეს.

შეხვედრის მონაწილეებმა ორი დღის განმავლობაში ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე იმსჯელეს, როგორიცაა 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების ადმინისტრირებისთვის განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობები, საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა საქართველოში, ამ მიმართულებით არსებული გამოცდილება, ელექტრონული არჩევნების უპირატესობები, არჩევნების გაშუქების საერთაშორისო სტანდარტები, საარჩევნო ელექტრონული საშუალებების საერთაშორისო აუდიტის შედეგები, საარჩევნო ადმინისტრაციის კომუნიკაციის სტრატეგია და ინფორმირების კამპანია 2024 წლის პარლამენტის არჩევნებისთვის და ა.შ.

შეხვედრის მიმდინარეობისას მედიის წარმომადგენლები საარჩევნო ელექტრონული ტექნოლოგიების, კერძოდ ვერიფიკაციისა და ხმის დათვლის ელექტრონული აპარატების მუშაობას გაეცნენ, ასევე მონაწილეობა მიიღეს იმიტირებულ კენჭისყრაშიც.

მედიასთან გასვლითი სამუშაო შეხვედრა 13-14 აგვისტოს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ორგანიზებით და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES თანამშრომლობით, ქალაქ თელავში გაიმართა. მასში მონაწილეობა რეგიონული მედიის 25-მა წარმომადგენელმა მიიღო. ახალი ფორმატის ფარგლებში მედიასთან შეხვედრებს საარჩევნო ადმინისტრაცია პერიოდულად მართავს.

ინგა შიოლაშვილი

# კორონაზე უარესი?

## მაიმუნის ყვავილი: არის თუ არა საქართველოში ვაქცინები და რა უნდა ვიცოდეთ

**მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ „მაიმუნის ყვავილთან“ დაკავშირებით გლობალური საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საგანგებო მდგომარეობა კიდევ ერთხელ გამოაცხადა. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) გენერალურმა დირექტორმა აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება ვირუსული ინფექციის კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და მის მეზობელ ქვეყნებში გავრცელებას მოჰყვა.**

„აშკარაა, რომ კოორდინირებული საერთაშორისო პასუხი საკვანძოა გავრცელების შესაჩერებლად და სიცოცხლის გადასარჩენად.

„მაიმუნის ყვავილის“ აღმოჩენა და სწრაფი გავრცელება აღმოსავლეთ კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მისი აღმოჩენა მეზობელ ქვეყნებში, სადაც აქამდე „მაიმუნის ყვავილი“ არ დაფიქსირებულა და მისი შემდგომი გავრცელების პოტენციალი აფრიკასა და მის მიღმა, ძალიან შემაშფოთებელია“, - განაცხადა ტედროს გებრეიესუსმა.

ამ განცხადებიდან სულ მალე კი საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ „მაიმუნის ყვავილის“ ახალი, უფრო გადამდები ვარიანტის პირველი შემთხვევა დააფიქსირეს აფრიკის ფარგლებს მიღმა - ევროპაში. მათი ცნობით, აღნიშნული პიროვნება აფრიკაში დაავადდა, სადაც ახლა „მაიმუნის ყვავილის“ ახალი ვარიანტი სწრაფად ვრცელდება.

შვედეთის ჯანდაცვის სამინისტროს განცხადება რამდენიმე საათის შემდეგ გავრცელდა, მას შემდეგ, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ (WHO) აფრიკის ნაწილებში „მაიმუნის ყვავილის“ გავრცელება გლობალური საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის საფრთხედ გამოაცხადა.

არსებული ინფორმაციით, დაავადების თავდაპირველი გავრცელების შედეგად, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში უკვე 450 ადამიანი გარდაიცვალა, დაავადება ცენტრალური და აღმოსავლეთ აფრიკის სხვა ნაწილებშიც გავრცელდა.

კორონავირუსის პანდემიით შეშინებულ საზოგადოებას ყოველი ახალი ვირუსის გამოჩენისას წარსულის გამოცდილება ახსენდება: უამრავი შეზღუდვა, პირბადით გადაადგილება და დისტანციურ რეჟიმზე გადასული ცხოვრების წესი... კორონავირუსის პანდემიის პერიოდში საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა ახალი ვირუსის, „მაიმუნის ყვავილის“ შესახებ, თუმცა იმ პერიოდში მედიაში აღნიშნავდნენ, რომ ის ისეთი საშიში არ იყო, როგორც - კორონავირუსი.

2022 წელს „მაიმუნის ვირუსით“ გარდაცვალების შემთხვევაც დაფიქსირდა. ის ესპანეთში დაარეგისტრირეს. „როიტერის“ განმარტებით, ეს გარდაცვალების მეორე შემთხვევა იყო, რომელიც აფრიკის ფარგლებს მიღმა დაფიქსირდა. ესპანეთამდე ამ ვირუსის გამო 1 ადამიანი ბრაზილიაშიც გარდაიცვალა.

როგორც დაავადებათა კონტროლის ცენტრის CDC ვებგვერდზე ვკითხულობთ, „მაიმუნის ყვავილს“ 3-დან 17 დღემდე საინკუბაციო პერიოდი ახასიათებს. თავდაპირველად სიმპტომები გრიპს ჰგავს. ვირუსს ცხელება, თავის ტკივილი, ლიმფური ჯირკვლების შეშუპება, შემცივნება, ზურგის ტკივილი, კუნთების ტკივილი და მოთენთილობა ახასიათებს.

შემდეგ კი ჩნდება გამონაყარი სახესა და სხეულზე, მათ შორის - პირის ღრუში, ხელის გულებზე და ტერფებზე. სითხიანი გამონაყარი ეტაპობრივად წითლდება, ფუფხად გარდაიქმნება და 2-4 კვირაში თავისით ქრება. გამონაყარის შემდეგ შეიძლება კანზე ნაწიბურებიც დარჩეს.

როგორც გამოქვეყნებულ ინფორმაციაში ვკითხულობთ, ინფექცია 14-დან 21 დღემდე გრძელდება.

უცხოურ მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, „მაიმუნის ვირუსი“ პირველად 1958 წელს დააფიქსირეს. ის პირველად კვლევისთვის დატყვევებულ მაიმუნთა კოლონიებში დაფიქსირდა. CDC-ის მონაცემებით, შესაძლოა, ვირუსი აფრიკული მღრღნელების საშუალებით გავრცელდა.

1970 წელს კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვირუსი ადამიანებში პირველად დაფიქსირდა. 2003 წელს კი „მაიმუნის ვირუსი“ აშშ-ში დააფიქსირეს, ეს აფრიკის გარეთ ვირუსის აღმოჩენის პირველი შემთხვევა გახლდათ.

# გეოგრაფიული აღნიშვნა – კახური შაშხი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
საქპატენტი
SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY CENTER OF GEORGIA
www.sakpatenti.org.ge

***სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქპატენტი „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აქვეყნებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო მიერ საქპატენტში წარმოდგენილი განაცხადის მასალებს.***

თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში არ შემოვა დამატებითი ინფორმაცია, გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ ცნობები შეტანილი იქნება ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სახელმწიფო რეესტრში და გამოქვეყნდება საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში. თუ განაცხადის მასალების გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში ამ მასალებთან დაკავშირებით საქპატენტში შემოვა დამატებითი ინფორმაცია, ის შესასწავლად გადაეგზავნება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

***განაცხადის № 3561/6***

***განაცხადის შეტანის თარიღი: 01/03/2024;***

***გეოგრაფიული აღნიშვნა: „კახური შაშხი“;***

***საქონლის დასახელება, რომლისთვისაც მოითხოვება გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია - შაშხი;***

***განმცხადებლის სახელი და მისამართი: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; მარშალ გელოვანის გამზ. №6, 0159, თბილისი, საქართველო;***

**1. პროდუქტის დასახელება: კახური შაშხი;**

**2. პროდუქტის აღწერა;**

კახური შაშხი არის ადგილობრივი ჯიშის, ტყეში ნაკვები ღორის ხორცისგან დამზადებული დამარილებული, შესუნელებული, შებოლილი და დავარგებული მშრალი პროდუქტი, რომელსაც ცალი მხრიდან აკრავს მუქი მოყვითალო ოქროსფერი შეფერილობის მკვრივი ტყავი. მისი მოხმარება შესაძლებელია როგორც ტექნოლოგიური პროცესის დამთავრებისთანავე, დამატებითი თერმული დამუშავების გარეშე, ისე მოხარშვის შემდეგ.

კახური შაშხის ორგანოლეპტიკურ მახასიათებლებს განსაზღვრავს ღორის ხორცი, რომლისგანაც იწარმოება შაშხი, გამოყენებული სუნელ-სანელებლები, შებოლვის ტექნოლოგია (ცივი ან ცხელი შებოლვა), მარილხსნარში დაყოვნება და ადგილის კლიმატური თავისებურებები.

კახურ შაშხს შენარჩუნებული აქვს ხორცისთვის დამახასიათებელი სტრუქტურა. მას აქვს დამახასიათებელი თანაბარი შეფერილობა - წითელიდან მუქი წითელი ფერის კუნთოვანი ქსოვილით. გადანაჭერზე კუნთოვანი ქსოვილი ერთგვაროვანი ფერისაა, დრეკადი კონსისტენციის, რაც განპირობებულია მარილხსნარში ე.წ. წაკში მოთავსებით. შეხებისას გადანაჭერი ბოჭკოვანია, კუნთოვანი ქსოვილის კონსისტენცია დამოკიდებულია ხორცის ნაჭრის კუნთოვანი მასის სიდიდეზე, გამოშრობის და შებოლვის ხანგძლივობაზე. თეთრი ან მოვარდისფრო ცხიმის ჩანართები ლოკალიზებულია, ძირითადად, კუნთოვან ქსოვილსა და ტყავის ფენას შორის. ცხიმი უნდა იყოს სიყვითლეების გარეშე და არ უნდა იგლისებოდეს. კახურ შაშხში ცხიმი გვხვდება ხორცის ფენებშიც. მას აქვს დამახასიათებელი კვამლის სუნი და სუნელ-სანელებლების გამოხატული გემო და არომატი. კახური შაშხი საშუალოდ მარილიანია და მარილის შემცველობა 6-8 %-ის ფარგლებში მერყეობს.

**3. წარმოების არეალი**

კახური შაშხის წარმოების არეალია კახეთი - ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი აღმოსავლეთ საქართველოში. კახეთი ერთ-ერთი დიდი რეგიონია საქართველოს ფარგლებში, მისი ფართობი შეადგენს 11 310 კვ.კმ-ს

**4. წარმოებაში გამოყენებული ნედლეული**

კახური შაშხი მზადდება ახლადდაკლული ზრდასრული ღორის გაუყინავი დანაწევრებული ტანხორცისგან. შაშხი მზადდება ადგილობრივი კახური ჯიშის ან ადგილობრივი პოპულაციების - აფხაზური, სვანური, მეგრული, რაჭული, ძირითადად, ტყეში ნაკვები ღორის ხორცისგან. პროფ. ი. შუბითიძის მიხედვით, „საქართველოში ღორის ადგილობრივი პოპულაციები (კახური, რაჭული, იმერული, მეგრული, აფხაზური, სვანური) ჩამოყალიბებულია გარეული ღორის (კავკასიური ფორმა) უძველეს პერიოდში უშუალო მოშინაურების შედეგად“. ამას ადასტურებს ქართველი მეცნიერების მიერ კრანიოლოგიაში ჩატარებული გამოკლევევები, სისხლის ჯგუფებისა და შრატის ცილების შესწავლა (რ. მიჩიტაშვილი, ს. ფოცხვერია და სხვ.; „კახური ღორი“, თბილისი, 2020 წ.).

კახეთი ტყიანი მთის ფერდობებით არის გარშემორტყმული, ადგილობრივი, ტყეში ნაკვები ღორის შენახვა და გამოზრდა კახური შაშხის დამზადებისთვის დიდი ხნის ტრადიციაა. ადგილობრივი, ტყეში ნაკვები ღორი ხასიათდება საცხოვრებელ პირობებთან ადაპტაციისა და რთულ პირობებში რეპროდუქციის უნარით, ასევე, გამოირჩევა გამძლეობით და შეუძლია კარგად აითვისოს ბუნებრივი საკვებ-სავარგულები, რასაც სხვა ცხოველები ვერ იყენებენ.

ზამთარში ისინი კარგად ითვისებენ ყურძნის ნარჩენებს - ჭაჭას, აგრეთვე, ბაღჩეულისა და ხილის ნარჩენებს. ადრე გაზაფხულიდანვე კარგად იყენებენ მინდვრის სხვადასხვა ბალახებს, ხოლო ივლის-აგვისტოში თავთავიანი კულტურების აღების შემდეგ ნარჩენ მარცვლეულს. ტყეში ნაყოფის მომწიფების დაწყებისთანავე გადაინაცვლებენ მთიან ადგილებში და მასობრივად ითვისებენ ტყის ნაყოფს: მუხა, წიფელი, წაბლი, კაკალი, მაჟალო, ზღმარტლი, შინდი, მაყვალი, კუნელი, კოწახური და სხვა ნაყოფის მომცემი მცენარეები. ადგილობრივი, ტყეში ნაკვები ღორის წონა, ძირითადად, შეადგენს 80-120 კგ-ს, ახასიათებს ხშირი შებუსვრა, ფერად შავი, ყავისფერი, მოწითალო, ან ნაცრისფერია, შეიძლება იყოს ლაქებით ან ზოლებით, აქვს გრძელი დინგი და შობს 5-8 გოჭს.

კახური შაშხის დამზადებისათვის გამოიყენება, ასევე, შემდეგი ინგრედიენტები:

**მარილი** - დამარილებისათვის გამოიყენება მსხვილი სუფრის მარილი, რომელიც წარმოადგენს კრისტალურ პროდუქტს და შედგება ძირითადად ნატრიუმის ქლორიდისაგან (არანაკლებ 97 %). მისი გრანულომეტრული შედგენილობა 2,5 მმ-დან 4 მმ-მდე მერყეობს და ე.წ. ხორხოშა მარილია. იოდირებული მარილის შემთხვევაში, რეკომენდებულია მარილის დეიოდიზაცია, რისთვისაც მარილი მზის სხივების პირდაპირი ზემოქმედებისათვის უნდა გაიშალოს თხელ ფენად (არაუმეტეს 1 სმ) 2-3 დღის განმავლობაში და პერიოდულად უნდა მოხდეს მისი მორევა. ამავე მიზნით შესაძლებელია, ასევე, მარილის წინასწარ გაცხელება მორევით.

**სანელებელი:**

პილპილი (ლათ. Piper) - პილპილისებრთა ოჯახის მცენარეთა გვარი, სახეობა შავი პილპილი (Piper nigrum) (სინამდვილეში არის მწვანე, მოუმწიფებელი ნაყოფი. დამუშავების და გაშრობის შედეგად იღებს შავ ფერს), რომელიც შეიცავს ალკალოიდ პიპერინს და ეთეროვან ზეთებს. სულხან-საბა-ორბელიანის ლექსიკონში მოხსენებულია როგორც მგორვალა (ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი: მცენარეთა სახელწოდებანი. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1991წ.).

**ნიორი** (Allium sativum) - ამარილისისებრთა ოჯახის ერთწლოვანი ბოლქვიანი მცენარეა. ველურად გვხვდება კავკასიაში. აქვს მუქი მწვანე, ვიწრო და ლანცეტისებრი ფოთოლი. ბოლქვი 2-50-მდე კბილისაგან შედგება. კბილი დაფარულია თხელი აპკით, ხოლო მთლიანად ბოლქვი - 2-8 მბზინავი აპკით. ბოლქვსა და მწვანე მასას იყენებენ საკვებად. ნიორის კბილი შეიცავს 35-42% მშრალ ნივთიერებას, 6,0-7,9% ნედლ ცილას, 7,0-28,8 მგ ჩ ვიტამინს, 0,5% რედუცირებულ შაქარს, 20-27% პოლისაქარიდებს და სხვა. ნიორს სპეციფიკურ გემოსა და სუნს აძლევს ეთერზეთი (0,23-0,74%), რომელიც ფიტონციდს შეიცავს.

**შაქარი** - შაქრის ჭარხლის ან შაქრის ლერწმისგან მიღებული ტკბილი პროდუქტი. 100 გრამი შაქრის ენერგეტიკული ღირებულებაა 1,68 მეგაჯოული (დაახლოებით 400 კკალ).

შესაძლებელია, ასევე, გამოყენებულ იქნეს დაფნა.

**დაფნა** (Laurus nobilis) - დაფნისებრთა ოჯახის მრავალწლიანი ხე ან ბუჩქოვანი მცენარე, რომელიც საქართველოში, ძირითადად კოლხეთშია კულტივირებული. აღსანიშნავია, რომ დაფნა კარგად იტანს გვალვებს, ამიტომ მისი კულტივაცია აღმოსავლეთ საქართველოშიც ხდება. საქართველოში გავრცელებულია მხოლოდ კეთილშობილი დაფნის მრავალფეროვანი ვარიაციების - ფორმების სახით.

**5. წარმოების ეტაპები**

**I ეტაპი – ღორის დაკვლა**

კახური შაშხის დასამზადებლად რეკომენდებულია, რომ დაკვლისას ღორის ცოცხალი წონა შეადგენდეს 90-100 კგ-ს.

**II ეტაპი – გასუფთავება**

ცოცხალი ცხოველის გაბრუების/დაკვლის და სისხლგართმევის შემდეგ, ხდება დამდუღვრა, ჯაგრის გაცლა, გაფხეკა, რისთვისაც დაკლულ ღორს ჩააზელენ ხორბლის ქატოს ან გამოიყენებენ სიმინდის ტაროს ნაქურჩს და გულდასმით ირეცხება ცხელი წყლით. დამუშავება ხდება გატყავების გარეშე. ამ პროცესის შემდეგ იწყება გამოშიგვნა. პირველ რიგში აჭრიან თავს, ჩამოეჭრება ანალური ხვრელის გარეთა ნაწილი. გამოშიგვნა იწყება მაგიდაზე ან ჩამოკიდებულ მდგომარეობაში, იკვეთება მუცლის ხაზზე. პირველ რიგში ამოაქვთ საშარდე ბუშტი, ნაწლავები კუჭთან ერთად, შემდეგ ღვიძლი. ფრთხილად აცლიან ნაღვლის ბუშტს. შინაგან ორგანოებს აცლიან ქონს, ხსნიან დიაფრაგმას, იღებენ გულსა და ფილტვებს. გული სუფთავდება სისხლის კოლტისაგან. სუფთავდება ტანხორცის შიდა მხარეც. აღნიშნული პროცედურის შემდეგ ტანხორცი ხერხემლის გასწვრივ იჭრება ორ თანაბარ ნაწილად.

**III ეტაპი – ხორცის გაგრილება და დაჭრა**

გასუფთავების ეტაპის დამთავრების შემდეგ ხდება ხორცის გაგრილება 2-3°C ტემპერატურაზე 2-3 დღე, ან მაცივარში




24 საათის განმავლობაში. ამ დროს ხორცი „მწიფდება“, იძენს სასიამოვნო სუნსა და არომატს, ხორცი ხდება წვნიანი და ნაზი. გაციება ხელს უწყობს ხორცის სიახლის და სასიამოვნო ფერის შენარჩუნებას. ამ პროცესის დასრულების შემდეგ ხდება ტანხორცის დაჭრა-დანაწევრება 2-4 კგ წონის ნაჭრებად. ზოგ შემთხვევაში, გაგრილების პროცესს წინ უსწრებს ტანხორცის 1-2 კგ ან 3-4 კგ წონის თხელ ნაჭრებად დანაწევრება და, გაგრილების მიზნით, მათი მოთავსება ცივ წყალში. თუ ჰაერის ტემპერატურა 24-25°C-ს შეადგენს, წყლის გამოცვლა უნდა მოხდეს დღეში ორჯერ, დილა-საღამოს, წყლის გაუფერულებამდე.

**IV ეტაპი – დამარილება, შესუნელება და დავარგება**

ხორცის გაგრილების და დაჭრის შემდეგ ხდება მისი დამარილება, შესუნელება და დავარგება. ამისთვის ხორცის ნაჭრებს ხელით შეეზილება მარილი (90-93 %), ნიორი, დაფნა, შავი პილპილი (1,5-2%) და შაქარი (4-5%), რის შემდეგაც ხორცის ნაჭრები მჭიდროდ თავსდება სათანადო ტევადობის მქონე ჭურჭელში - ხის ან უჟანგავი ლითონის გობში, რომელსაც ზემოდან უნდა დაედოს სიმძიმე. დაყოვნების ხანგძლივობა 3-7 დღეს შეადგენს და დამოკიდებულია ხორცის ნაჭრების სისქეზე. ამის შემდეგ, ხორცის ნაჭრები ირეცხება და თავსდება მარილხსნარში ე.წ. წაკში, რისთვისაც 10 ლ წყალს ემატება 1,5-2 კგ მარილი და, შეფერილობის ფიქსაციისათვის, მარილწყალის საერთო წონის 0,06-0,07 % (დაახლოებით 0,01 გ) ნატრიუმის ნიტრიტი. მარილხსნარში დაყოვნება ხდება 7-12 დღის განმავლობაში, რაც ასევე დამოკიდებულია ხორცის ნაჭრების ზომაზე და სისქეზე.

ზოგჯერ, შესუნელებისათვის შესაძლებელია, ასევე, გამოყენებულ იქნეს სხვა სუნელ-სანელებლებიც, მაგალითად ჯანჯაფილი (კოჭა) (Zingiber officinale, Rosc) და ბადიანი (Illicium anisatum (L.). დამატებული სუნელ-სანელებლები არ უნდა იყოს დაფქვილი. სუნელ-სანელებლები (5-10 გრ. - ცვალებადი პროპორციით) უნდა ადუღდეს 3-5 ლ წყალში, რომელიც გაცივების შემდეგ ემატება ე.წ წაკს. ამ შემთხვევაშიც, წაკში დაყოვნების ხანგძლივობა 6-7 დღეს შეადგენს.

**V ეტაპი – შრობა**

მარილხსნარში, ანუ ე.წ. „წაკში“ დაყოვნების შემდეგ, ხორცი ირეცხება ცივი წყლით და შრება დაბალ, 4-5°C ტემპერატურაზე, 2-3 დღის განმავლობაში, რათა მომზადდეს შესაბოლად. შესაძლებელია პირდაპირ შებოლვა გაშრობის გარეშეც, სველი ხორცის თონეში ჩაკიდებით, რომელიც წარმოადგენს ტრადიციულ, თიხისგან დამზადებულ პურსაცხობს.

**VI ეტაპი – შებოლვა**

გაშრობის შემდეგ ხდება ხორცის შებოლვა. არსებობს შებოლვის ორი მეთოდი: ცხელი და ცივი შებოლვა. ცივი შებოლვის მეთოდის გამოყენებისას ხორცი ჩამოკიდულია დახურულ შენობა-ნაგებობაში ისე, რომ გარე ცეცხლიდან წარმოქმნილი კვამლი კვამლსადინარით შედის ოთახში.

უფრო გავრცელებულია ცხელი შებოლვის მეთოდი. ამ შემთხვევაში, ტრადიციულად, გამოიყენება პურსაცხობი თონე. თონის გახურება ხდება ფოთლოვანი მცენარეების - მუხის, წიფელას ნახერხის და კაკლის ნაჭუჭის გამოყენებით. თონეში ჩამწვარი ნაკვერჩხალი გროვდება, ხორცის ნაჭრები ჩაეკიდება თონეზე გადებულ ხარიხებზე ისე, რომ წარმოქმნილი კვამლი ხორცის ყველა ნაჭრამდე თანაბრად აღწევდეს. თონეს ზემოდან ეფარება დასველებული, დატენიანებული საფარი (ამ მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ჯვალოს უხეში, სელის ან შალ-ბამბის უხეში ქსოვილი). საფარი უნდა იყოს დატენიანებული, რათა თავიდან იქნეს აცილებული ცეცხლის წარმოქმნა. საფარს 1-2 ადგილზე უკეთდება ე.წ. „საჰაერო“. შებოლვისას ხორცის ნაჭრების ტემპერატურა 75-80°C-ს აღწევს. შებოლვის ხანგძლივობა 2-4 დღეს შეადგენს და დამოკიდებულია ხორცის ნაჭრების სისქეზე და თონეში ჩაკიდებული ნაჭრების რაოდენობაზე. შესაძლებელია შებოლვა განხორციელდეს შრობის ეტაპის გარეშე, ამ შემთხვევაში ხდება წაკიდან ამოღებული ხორცის დაწრეტა და შემდეგ შებოლვა. შებოლვის დროს ხორციდან გამოყოფილი წვენი ნაკვერჩხალთან შეხებისას წარმოქმნის ორთქლს და შებოლვასთან ერთად ხდება ხორცის ორთქლზე მოხარშვაც. გარდა თონისა, შესაძლებელია, ასევე, გამოყენებულ იქნეს შესაბოლი ოთახიც, სათავსო, სადაც შებოლვის ორივე, ცხელი და ცივი მეთოდის გამოყენებაა შესაძლებელი. ზოგადად, შესაბოლი ოთახი აშენებულია აგურით, ქვით ან წარმოადგენს ლითონის ნაგებობას. ცხელი შებოლვის შემთხვევაში, ცეცხლი ინთება ოთახის შუაში, რათა მოხდეს ზემოთ ჩამოკიდებული ხორცის ნაჭრების შებოლვა. ცივი შებოლვის შემთხვევაში, ცეცხლი ინთება ოთახის გარეთ და კვამლი ოთახში შემოდის სპეციალური დამაკავშირებლით - კვამლსადენით.

**VII ეტაპი – შენახვა**

შებოლვის პროცესის დასრულების შემდეგ მზა კახური შაშხი ინახება გრილ, სუფთა და მშრალ ადგილას. რეკომენდებულია შენახვა მაცივრის პირობებში არანაკლებ 2 და არაუმეტეს 5°C ტემპერატურის პირობებში. მისი მოხმარება შესაძლებელია დამატებითი თბური დამუშავების გარეშეც.

**6. გეოგრაფიული არეალი, რეპუტაცია და ადამიანური ფაქტორები**

კახური შაშხის ორგანოლეპტიკურ, საგემოვნო თვისებებსა და წარმოების ტექნოლოგიას განსაზღვრავს ის გეოგრაფიული არეალი და ბუნებრივი კლიმატური პირობები, სადაც ღორის გაზრდა და პროდუქტის წარმოება ხდება, ასევე, გამოყენებული ნედლეული და ინგრედიენტები.

კახეთში არის ტენიან სუბტროპიკულსა და კონტინენტურს შორის გარდამავალი ჰავა. რეგიონის კლიმატი განიცდის როგორც მშრალი შუააზიური და კასპიის ზღვის მშრალი ჰაერის მასების, ისე დასავლეთიდან შავი ზღვის ტენიანი ჰაერის გავლენას. თუმცა, შავი ზღვიდან ტენიანი ჰაერის მასის შემოჭრას ხელს უშლის ლიხისა და მესხეთის ქედები, რომლებიც დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ საქართველოსგან ჰყოფენ. ამის შედეგად, ნალექების წლიური რაოდენობა აღმოსავლეთში გაცილებით ნაკლებია (400-1600 მმ), ვიდრე დასავლეთ საქართველოში. ყველაზე ნალექიანი პერიოდებია გაზაფხული და შემოდგომა, ხოლო ყველაზე მშრალი პერიოდები კი, შესაბამისად - ზამთარი და ზაფხული.

*/გაგრძელება გვ.5/*

# კახეთში ყველაზე მეტად გავრცელებული ხუთი ძირითადი ვაზის ჯიში

***კახეთის მევენახეობის ისტორია ძვ. წ. აღ. VI ათასწლეულიდან იწყება. არქეოლოგების მიერ აღმოჩენილი ყურძნის წიპწები სწორედ ამ ასაკისაა და ისინი უძველესია მსოფლიოში, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ საქართველო - ვაზის სამშობლოა.***

ალსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიოში ცნობილი 2000 ყურძნის ჯიშიდან 500 ქართულია. კახეთში ღვინოს ყველა ოჯახში ამზადებენ. გლეხური წესით დამზადებული ღვინო არ ჩამოუვარდება ცნობილ საფირმო ღვინოებს. დღეს კი ღვინის თანამედროვე წარმოებაში 5 ძირითადი ყურძნის ჯიში გამოიყენება.

### მწვანე კახური

ქართული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიში იძლევა ევროპული და კახური ტიპის მაღალხარისხიან ღვინოს. მას სახელწოდება მიღებული აქვს მწიფე მარცვლების მოყვითალო-მწვანე ფერის გამო.

კახეთის თეთრ ჯიშებში მწვანე ყველაზე უფრო ნაზ და არომატულ ღვინოს იძლევა. აღსანიშნავია, რომ დაძველებისას იგი მთლიანად შლის ჯიშისათვის დამახასიათებელ თაიგულს და მასში მკაფიოდ იგრძნობა ხილის არომატი.

### რქაწითელი

რქაწითელის ჯიშის ყურძენი კახეთის ვაზის ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის და საქართველოში ყველაზე მეტადაა გავრცელებული.

მისი წვენი ფიზიოლოგიური სიმწიფის დაწყებიდან თითქმის დამწიფებამდე ინარჩუნებს შაქრიან-მჟავიანობის სასურველ შეფარდებას.

### ხიხვი

ხიხვი სექტემბრის შუა რიცხვებიდან ოქტომბრის მეორე ნახევრამდე მწიფდება. ამ ყურძნისგან მზადდება კლასიკური ტიპის ღვინო. ხასიათდება ეგზოტკური მცენარეული, კერძოდ კი, მინდვრის ყვავილების სურნელით.



### ქისი

აღსანიშნავია რომ, რამოდენიმე წლის წინ, ჯიშს გადაშენება ემუქრებოდა,ხოლო ამჟამინდელი მდგომარეობით იგი იქცა ერთ-ერთ მნიშვნელოვან ყურძნის ჯიშად.

### საფერავი

საფერავი კახეთში საუკეთესო შედეგს იძლევა. გამოიყენება მშრალი, ნახევრადტკბილი და ვარდისფერი ღვინოების დასამზადებლად. ყურძნის ამ სახეობისგან შეიძლება დამზადდეს ძლიერი, მაღალმჟავიანი, მაღალი ალკოჰოლის შემცველი, მუქი შეფერილობისა და კარგი ტენიანი ღვინო.

# „ჩემი ოცნებაა, ადრე თუ გვიან ყველა დაბრუნდეს თავის კერაზე და შეინარჩუნოს ქართული ტრადიციები“

***სოფელ გამარჯვებაში ვისაც გაგივლიათ, უთუოდ მოგხვდებოდათ თვალში კარგად მოვლილი ეზო, რომელსაც ხელნაკეთი დეკორაციების სიჭარბით გამოარჩევთ. ეს ტომის რანჩოა. მისი არაქართული სახელწოდების მიუხედავად, მეპატრონე ტომი გოგოჭური ქართული ტრადიციების შენარჩუნებაზე ზრუნავს.***

გზიდანვე შენიშნავთ ყვავილებს, ხეებს, ურმებს, ქვევრს, ქვით მოპირკეთებული ბილიკს და ხელნაკეთ ნივთებს. შთაბეჭდილება გზიდანვე გექმნებათ და ფიქრობთ, რომ ეზოს შეგნით გაცილებით მეტი დაგხვდებათ. არც შეცდებით.



ტომისთვის სოფელი გამარჯვება განსაკუთრებული ადგილია. თბილისში მრავალწლიანი ცხოვრების შემდეგ, მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა და გადაწყვიტა, საკუთარ ეზოში პატარა სამოთხე შეექმნა, რომელიც გამვლელისთვისაც თვალში მოსახვედრი და სასიამოვნო იქნებოდა.

ტომის რანჩო მართლაც გამორჩეულია. ყველაფერი, რასაც ნახავთ, ექსკლუზიურია და ხელნაკეთი.

,,თბილისში დიდი ხანი ვცხოვრობდი და სოფელში ხშირად ვერ ჩამოვდიოდი. შესაბამისად, ვერც სათანადო ყურადღებას ვაქცევდი. ახლახანს დავბრუნდი სოფელში. მაშინვე დავიწყე სახლის გადაკეთება და მოწესრიგება. ყველაფერს ჩემი ხელით ვქმნი. რაც არ მომწონდა, მოვანგრიე და სულ ვაშენებ, რაღაცას ვცვლი. ეს ყველაფერი, პირველ რიგში, ოჯახისთვის შევქმენი“.

ტომი გვიყვება, რომ ყვავილებმა, ძველმა ნივთებმა, დეკორაციებმა ეზო სრულად შეცვალა და თავადაც მოსწონს ის, რაზეც ბოლო 3 წელია მუშაობს.

,,რაც უშნოდ ჩანდა, მოვანგრიე, საქათმე, საძროხე და საზაფხულო ფაცხა გავაკეთე. ეზო, ფაქტობრივად, სრულად გადავაკეთე. რაიმე ახალი იდეა როგორც მომივიდოდა, არ მეზარებოდა მისი სისრულეში მოყვანა, მაშინვე ვიწყებდი იდეების განხორციელებას”.

მისივე თქმით, სტიმულს მნახველები აძლევდნენ, რომელიც მის რანჩოს არასდროს აკლდა. ბოლო პერიოდში უკვე ტურისტებსაც მასპინძლობს. ამბობს, რომ უხარია, როდესაც აქებენ და მისი შრომის შედეგს დადებითად აფასებენ.

**,,ეზოში ცალკე ავაშენე ოთახი, სადაც ზამთრის ცივი დღეების სასიამოვნოდ გატარება შეიძლება. მიყვარს ბუხრის გარშემო მეგობრებთან საუბარი. ოთახი კი, უამრავი ძველი ნივთით გავაფორმე. მიყვარს ძველებური ნივთები, სულ ვაგროვებ. მეგობრებიც მჩუქნიან ხოლმე. მაქვს ურმები, აკვანი, დიქები, გოდრები, სიმინდის საფშვნელი, გუთანი, ღვინის ძველი ტიკი, ფრინველებისა და ცხოველების კერამიკული გამოსახულებები, რძის სადღვები, ყანწები, არჩვის რქები. უამრავ ნივთს ნახავთ ჩემს ეზოსა და სახლში”.**

ტომი ამ ეტაპზე, მცირე ტიპის საოჯახო სასტუმროს მშენებლობით არის დაკავებული,პარალელურად, ეზოს აფორმებს და დეკორაციებს ამატებს. მუშაობს მარნის მოწყობაზეც.

,,მცირე ტიპის საოჯახო სასტუმროს სულ რამდენიმე ნომერი ექნება. როცა ამ ყველაფრის კეთება დავიწყე, არასდროს მიფიქრია მისი შემოსავლის წყაროდ ქცევა. ბევრი მნახველი და სტუმარი მოდის. ყველაფერი ერთ ეზოში, ერთ სივრცეშია განთავსებული. მითხრეს, ტურისტული სივრცე გააკეთეო. მარანიც მაქვს აშენებული. ვაკეთებ ყველაფერს ქართულს და ტრადიციულს. საქმისადმი შიმშილს ვგრძნობ, როგორც კი თავისუფალი დრო გამომიჩნდება. ჩემი ნატვრა და ოცნებაა, რომ ვინც წასულია, ადრე თუ გვიან ყველა დაბრუნდეს თავის კერაზე და შეინარჩუნოს ქართული ტრადიციები“.

# გეოგრაფიული აღნიშვნა - კახური შაშხი

*/დასაწყისი გვ.4/*

აღმოსავლეთ საქართველოს უმეტეს ნაწილში, განსაკუთრებით დაბლობ ზონებში, ზაფხული ცხელია, ხოლო ზამთარი - სუსხიანი. სიმაღლე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კლიმატზე. 1500 მ-ზე მაღლა შედარებით გრილი ზაფხულია, ხოლო 2000 მეტრზე მაღლა კი ზოგჯერ ზაფხულის თვეებშიც კი იცის ყინვა. ზამთრის საშუალო ტემპერატურა დაახლოებით 0°C -ია; ზაფხულში ის ტემპერატურა +23-30°C-ს აღწევს.

ასეთი ბუნებრივი გარემო პირობები დადებით გავლენას ახდენს კახეთის ტყეებში ბუნებრივად გავრცელებული მცენარეების (მუხა, წიფელი, წაბლი, კაკალი, პანტა, მაჟალო, ზღმარტლი, შინდი, მაყვალი, კუნელი, კოწახური და სხვ.) ნაყოფის ხარისხსა და რაოდენობაზე, რაც, საბოლოო ჯამში, მნიშვნელოვნად განაპირობებს ღორის ხორცის კარგ საგემოვნო მახასიათებლებს. აღსანიშნავია ისიც, რომ კახეთის ტყეებში მოსავალი ყოველწლიურად რამდენიმე ათას ტონას შეადგენს. მისი ეფექტიანი გამოყენება კი, სწორედ, მომთაბარე მეღორეობით იყო და არის შესაძლებელი“.

ის ფაქტი, რომ კახეთში გარეული ღორი ტყეში დიდი რაოდენობით იყო, დასტურდება ვახუშტი ბატონიშვილის მიერ. „ბოსტანქალაქი და გარეჯის მთის აღწერაში“ წერს: „ნაგების აღმოსავლით და სამხრით არს ველი დიდი, ხოლო მტკვრის კიდეთა ჭალა დიდი, რომელსა მოინადირებდენ მეფენი წლითი-წლად სავსე ღორის ეშვითა. („აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია. დაიბეჭდა ვახუშტი ბატონიშვილის ხელნაწერი დედანით. რედაქცია გ. ჯანაშვილისა. გამოცემა ჟურნალ „მოგზაურისა“, თფილისი, მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა ა. ქუთათელაძისა ნიკ. ქ. №21, 1904 წ).

იქვე, აღწერს რა შიდა კახეთს „გაღმამრისა და შიგნით-კახეთისათს“ წერს: „პანკისის ხეობის სამრით, ვიდრე ქისიყის სამზღვრამდე, უწოდებენ შიგნით-კახეთს, რომელი იმზღვრების: აღმოსავლით ალაზნის მდინარით; სამრით ქისიყის ხაზის საზღვრით; დასავლით ჰერეთისა და კახეთის მთით; ჩდილოთ პანკისის საზღვრით, და არს ადგილი ესე ტყიანი, მცირედ ველიანი, განა ტყე უმეტეს ხილიანი, მცირე წყლიანმდინარიანი, ვენახოვანი, ხილიანი, ღვინო კეთილი და კარგი. ფრინველნი, თვინიერ დურაჯისა და კაკბისა, რომელნი ტყეთა გვარობენ, მრავალნი; პირუტყვნი, ცხოვარი მცირედ, სხვანი მრავლად, არამედ ღორი უმრავლეს: რამეთუ ერთ გლეხს ჰყავს ს - უ - ჩ - ც“ , რაც, იქვე, გ. ჯანაშვილის (რედაქტორის) განმარტების თანახმად, ნიშნავს, რომ „ყოველს გლეხს ჰყავსო 200, 400, 1000 და 2000 ღორი“.

„კახეთში დღემდეა შემორჩენილი ღორთან დაკავშირებული ტოტემური ჩვეულება, რომელიც ყოველწლიურად იმართება ნეკრესის სამონასტრო კომპლექსში, იგი სხვადასხვა ნაგებობებისგან შედგება, ზოგი მათგანი IV-V საუკუნითაა დათარიღებული, ზოგიც VIII-IX საუკუნეებს განეკუთვნება. მთავარი ტაძარი დათარიღებულია VI საუკუნით, რომელიც წმიდა აბიბოს ნეკრესელმა ააშენა.

გადმოცემის თანახმად, „ნეკრესის ეკლესიას ხალხი ერთ სასწაულს უკავშირებს: მტერს ალყაში მოუქცევია ნეკრესის სალოცავი და იქ თავშეფარებული ქართველები. ყოველი დღე, ყოველი საათი მტერს გამარჯვებასთან აახლოებდა. საკვებიც გამოილია და ხსნაც არსაიდან ჩანდა. შეწუხდა ხალხი, ქალებმაც იარაღი აისხეს, ილოცეს და ბრძოლისთვის მოემზადნენ. უცბად ჩოჩქოლი ატყდა: სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის თავგადადებულ რაზმში ერთს აზრად მოსვლია, მოდი, ღორები დავსეროთ და მტერზე მივუშვათო. „ეგრე ვქმნათ, ეგრეო“, - სიხარულით აიტაცეს სხვებმაც. ჯერ ღორების ჭყვიტინმა გააყრუა იქაურობა, მერე კი ნეკრესის გალავნის კარი გაიღო და ტკივილისგან გადარეული კოლტი პირდაპირ მოალყეებისკენ გაქანდა. სპარსელები ერთხანს გაკვირვებული უცქერდნენ ამ სანახაობას, მერე კი გონს მოვიდნენ და მიხვდნენ: პირუტყვი მათ „დასალაშქრად“ მიექანებოდა და თან ირგვლივ ყველაფერს „უწმინდური“ სისხლით ბილწავდა. „ოო, წყეული გიაურები, ეს რა მოიფიქრესო!“ - ყვირილით გაიფანტნენ ურჯულოები. ალყა გაირღვა. ღორების კოლტს ქართველთა რაზმი მოჰყვა, რომელთაც ადვილად დაამარცხეს დაბნეული მტერი და სამშვიდობოს გავიდნენ. მას შემდეგ ყოველ წელიწადს, შობა დღეს (იმ დღეს, როცა ეს სასწაული მოხდა) იწყება ნეკრესობის დღესასწაული, რომელიც ერთ კვირას გრძელდება. მთავარი ის არის, რომ ტაძარში შესაწირად ღორები მოჰყავთ“ (კ. კენკიშვილი ჟურნალი „ისტორიანი“, 2011 წლის დეკემბერი, №12).

ნეკრესისთვის „შესაწირად განკუთვნილ ბურვაკს „ლომ-ტახს“ ეძახოდნენ, რომელსაც განსაკუთრებით ყურადღებით ექცეოდნენ კახელი მეღორეები. ხშირად ცალკე აჭმევდნენ, კარგად უვლიდნენ და მისი გაყიდვა სასტიკად აკრძალული იყო. დასაშვებია, რომ ეს ჩვეულება ძველთა-ძველია და შეიძლება ნეკრესის ადგილას იყო აღმართული ღორების მფარველი ღმერთის ბომონიოც კი და მისი სახელობის უქმე გრძელდებოდა 12 დღეს მაინც. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ნეკრესობა მოდის 25 დეკემბერს, რომელ დღესაც მთელი ქართველობა ქრისტეშობის მარხვას იხსნილებს ღორის ხორცით. ამ დროს ღორის ხორცის ჭამა 12 დღე გრძელდება, მეექვსე დღეს დგება ახალი წელი და წმინდა ბასილის ტაბლაზე პურის, ბასილის და სანთლების გვერდით ვხედავთ ღორის თავსაც. (რ. მიჩიტაშვილი და სხვ. „კახური ღორი“, 2020წ.).

კახეთში ხორცის დამუშავების და შენახვის ტრადიცია ოდითგანვე პრიორიტეტული იყო. საუკუნეების მანძილზე მიმდინარე ხანგრძლივი ომიანობის პერიოდში, ქართველი მებრძოლისათვის ენერგიის ერთ-ერთ საიმედო წყაროს სწორედ ღორის შებოლილი ხორცი წარმოადგენდა - დამარილებული ხორცი მეომრებს თან მიჰქონდათ, ვინაიდან იგი დიდხანს ძლებდა და გამოსაყენებლადაც პრაქტიკული იყო. (ი. შუბითიძე, „კახური მომთაბარე ენდემური ჯიშის ღორი“, 2021წ.).

### 7. ეტიკეტირება

კახური შაშხი მომხმარებელს შეიძლება მიეწოდოს შეფუთული ან შეფუთვის გარეშე. ეტიკეტზე, პროდუქტის დასახელების აღნიშვნისას გამოიყენება:

ქართულად - კახური შაშხი;

ინგლისური ასოებით - Kakhuri Shashkhi;

რუსული ასოებით - Кахури Шашхи;

ბაზარზე განთავსებული დაცული გეოგრაფიული აღნიშვნის „კახური შაშხის“ შესახებ ინფორმაცია მომხმარებელს უნდა მიეწოდოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შესახებ“ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ამასთანავე, სურსათის ეტიკეტირებისას „კახური შაშხის“ გარდა, მხედველობის ძირითად არეში მითითებული უნდა იყოს სიტყვები: „დაცული გეოგრაფიული აღნიშვნა“ და სახელმწიფო ხარისხის ნიშანი, რომლის გამოყენება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

### 8. მაკონტროლებელი ორგანოები

კახური შაშხი დამზადებული ტრადიციული მეთოდით და წინამდებარე სპეციფიკაციების მიხედვით, წარმოადგენს ტრადიციულ, არტიზანულ, გეოგრაფიული აღნიშვნით დაცულ პროდუქტს. შესაბამისად, მასზე ვრცელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით №173 - ტექნიკური რეგლამენტის „სურსათის/ცხოველის საკვების ჰიგიენის გამარტივებული წესით“ დადგენილი მოთხოვნები.

კახური შაშხის სახელმწიფო კონტროლს, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, ახორციელებს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო ან მაკონტროლებელი ორგანო - იურიდიული პირი, რომელსაც სამინისტროს მიერ დელეგირებული აქვს სახელმწიფო კონტროლთან დაკავშირებული კონკრეტული ამოცანის შესრულება და რომელიც აკრედიტებულია საქართველოს ან ევროკავშირის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრი ქვეყნების შესაბამისი ორგანოს მიერ.

კახური შაშხის მწარმოებლების ჯგუფი/ორგანიზაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში), კახური შაშხის ხარისხის, რეპუტაციისა და ავთენტურობის უზრუნველყოფის მიზნით, ახორციელებს ბაზარზე განთავსებული საქონლის სახელის გამოყენების მონიტორინგს და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ქმედებებს.

# პარიზი 2024 წელი - რა ღირს რეალურად ოლიმპიური ოქრო




***როდესაც თანამედროვე ოლიმპიური თამაშები დაიწყო, ის უბრალოდ, სამოყვარულო იყო. პროფესიონალ სპორტსმენებს არც ფულად პრიზებს აძლევდნენ და არც საჩუქრებს.***

დროთა განმავლობაში წესები შეიცვალა და დღეს, ოლიმპიური მედლის მფლობელი, უმეტეს შემთხვევაში, საკმაოდ სოლიდურ ფულად ანაზღაურებასაც იღებს. გარდა ამისა, სპორტსმენებს სხვა გზებითაც შეუძლიათ ფულის გამომუშავება.

სპონსორებიდან დაწყებული ფინანსური ჯილდოებით დამთავრებული - ოლიმპიელებს შეუძლიათ მიიღონ ფული სხვადასხვა წყაროდან.

### კრივი და მძლეოსნობა

2024 წლის პარიზში წარმოდგენილი 32 სპორტიდან საპრიზო ფონდი მხოლოდ ორში გაიცემა - მძლეოსნობა და კრივი.

World Athletics-მა, მძლეოსნობის საერთაშორისო მმართველმა ორგანომ, აპრილში გამოაცხადა, რომ 2024 წლის პარიზის თამაშებზე ოქროს მედალოსნები მიიღებდნენ 50,000 დოლარს ტურნირში გამარჯვებისთვის.

ერთი თვის შემდეგ, კრივის საერთაშორისო ასოციაციამ (IBA) თქვა, რომ ასევე დაწესდა ფულადი ჯილდოები: 100,000 დოლარი გადაეცემა ოლიმპიურ ჩემპიონებს.

ორივე სპორტში ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსნები მიიღებენ მცირე თანხებს. კრივში კი მეხუთე ადგილზე გასული სპორტსმენებიც დაჯილდოვდებიან. საპრიზო თანხა ორი ასოციაციის მმართველი ორგანოებიდან გაიცემა.

თავის მხრივ, მძლეოსნობის ფედერაციების საერთაშორისო ასოციაცია ოლიმპიადიდან მიღებული მოგების ნაწილს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისგან იღებს. ადრე ასოციაცია ამ თანხებს სპორტსმენების განვითარებაზე ხარჯავდა. თუმცა, ამჯერად უშუალოდ გამარჯვებულ სპორტსმენებზე დახარჯავს.

### ეროვნული სიამაყე და საპრიზო თანხა

აღსანიშნავია, რომ სინგაპურის ოლიმპიური ჩემპიონები უფრო მეტ თანხას მიიღებენ, ვიდრე აშშ-ს ოლიმპიური ჩემპიონები.

ითვლება, რომ სინგაპური თავის სპორტსმენებს ყველაზე მეტს უხდის: პარიზში მისი ოქროს მედალოსანი 750 000 დოლარს მიიღებს.

ფრანგი სპორტსმენებისთვის თანხა 80 000 ევროა, მაროკოელი სპორტსმენებისთვის კი - 200 ათასი აშშ დოლარი.

ეს უფრო მეტია, ვიდრე აშშ, რომელიც ოქროს მედლის მფლობელისთვის 37 500 დოლარს გამოყოფს.

ზოგიერთი ქვეყანა, მაგალითად, დიდი ბრიტანეთი, ოლიმპიელებს არანაირ ფინანსურ ჯილდოს არ აძლევს.

მიუხედავად იმისა, რომ ეს თანხები არც თუ ისე მცირეა, ის მაინც ვერ მიუახლოვდება იმ უზარმაზარ სიმდიდრეს, რომლის გამომუშავებაც მსოფლიოს ყველაზე ცნობილ სპორტსმენებს სხვა გზებით შეუძლიათ.

„ოლიმპიურ თამაშებზე შეგიძლიათ იპოვოთ ისეთი ვარსკვლავი სპორტსმენები, რომლებიც სხვადასხვა ბრენდებთან გაფორმებული კონტრაქტების გარდა, შთამბეჭდავ ხელფასს იღებენ. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების გუნდის კალათბურთელები. ასევე შეგიძლიათ იხილოთ სპორტსმენები, რომლებიც ნახევარ განაკვეთზე მუშაობენ საკუთარი თავის გადასარჩენად“, - ამბობს bbc-თან კოვენტრის უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრის წარმომადგენელი დოქტორი ბეისონი.

### ვარსკვლავები

NBA-ს სუპერვარსკვლავი ლებრონ ჯეიმსი ოლიმპიადის ერთ-ერთი ყველაზე მაღალ ანაზღაურებადი სპორტსმენია. ვარაუდობენ, რომ კალათბურთელმა გასულ წელს 128 მილიონი დოლარი გამოიმუშავა.

Forbes-ის უმდიდრესი სპორტსმენების ყოველწლიური სიის მიხედვით კი ესპანელი გოლფის მოთამაშე ჯონ რამი იყო ყველაზე მაღალ ანაზღაურებადი სპორტსმენი პარიზის 2024 წლის თამაშებზე. გამოცემის შეფასებით, გასულ წელს მან 218 მილიონი დოლარი გამოიმუშავა.

ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობამ მათ შემოსავალზე მცირე გავლენა მოახდინა. თუმცა, დაბალი დონის სპორტსმენებისთვის, მედლის მოპოვება საჭირო შემოსავლის წყაროა.

ხშირად სპორტსმენების კონტრაქტებში შედის პუნქტი, სადაც ნათქვამია, რომ კვარცხლბეკზე ასვლის შემთხვევაში სპონსორებისგან ბონუსს მიიღებენ. როგორც წესი, ეს კონტრაქტები კონფიდენციალურია, მაგრამ 2016 წელს Nike-სა და New Balance-ს შორის სასამართლო დავის დროს გაირკვა, რომ ამერიკელ მორბენალს ბორის ბერიანს ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მოპოვების შემთხვევაში 150 000 დოლარი უნდა მიეღო.

შეერთებულ შტატებშიც კი, სადაც მსოფლიო სპორტის უმდიდრესი ვარსკვლავები ცხოვრობენ, ბევრი სპორტსმენი არსებობისთვის იბრძვის. შეერთებული შტატების ოლიმპიური და პარაოლიმპიური კომიტეტის ბოლო კვლევამ აჩვენა, რომ ამჟამინდელი სპორტსმენების 26,5% წელიწადში 15 000 დოლარზე ნაკლებს იღებს.

### რა არის მედლის რეალური ღირებულება?

იმის გათვალისწინებით, რომ წლევანდელი მედლები შეიცავენ 505 გრამ ვერცხლს და ექვს გრამ ოქროს, მათი წმინდა ღირებულება 950 დოლარია.

**წყარო**: bbc.com

# „მსოფლიოში ასეთი სულ 20 ქვეყანაა და მათ შორის არის საქართველოც“ – რა იზიდავს ჩინეთს საქართველოში?

„მსოფლიოში ასეთი სულ 20 ქვეყანაა და მათ შორის არის საქართველოც“ - ამის შესახებ ჩინეთში საქართველოს ყოფილმა ელჩმა მამუკა გამყრელიძემ „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა.

მისი თქმით, „საქართველო შედის იმ ქვეყნების სიაში, რომლიც ჩინეთისთვის ტურისტული ინტერესისა და დანიშნულების ქვეყნებია“.

„საქართველო შედის იმ ქვეყნების სიაში, რომელიც ჩინეთისთვის ტურისტული ინტერესისა და დანიშნულების ქვეყნებია. მსოფლიოში სულ 20 ასეთი ქვეყანაა, მათ შორის საფრანგეთი, იტალია, საბერძნეთი, რუსეთი და ა.შ.“, - აცხადებს მამუკა გამყრელიძე.

მისი თქმით, დაბალი ფენის ჩინელები, რომლებიც ძირითადად ამჟამად შემოდიან საქართველოში, როგორც წესი, ფულს არ ხარჯავენ.

მამუკა გამყრელიძე თვლის, რომ საქართველომ თავად უნდა მოახერხოს თავისი ტურისტული ღირებულებების გადახალისება, რათა მდიდარი ტურისტები ჩამოვიდნენ, რომლებსაც საქართველოში თითქმის ყველა მიმართულება აინტერესებთ, მითუმეტეს უვიზო პირდაპირი ფრენების შემდეგ.

ის რომ, ჩვენ ჩინელებისთვის ტურისტული დანიშნულების ქვეყანა ვართ, ძალიან ბევრს ნიშნავს. სახალხო კომუნისტური პარტია, რომლის სიტყვასაც მათთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, აძლევს საკუთარ მოქალაქეებს რეკომენდაციას, ჩამოვიდნენ საქართველოში - ეს ძალიან ბევრს ნიშნავს. ანუ გვაქვს რაღაც ღირებულებები, რადგან მათი ინტერესის სფეროში მოვხვდით. ამის არ გამოყენება და იმის თქმა, რომ მათ რაღაც არ აინტერესებთ, შეცდომაა. შენ უნდა დააინტერესო. ასეთი მიდგომა იყო წინა მთავრობის დროსაც და ამან არ გაამართლა. აუცილებლად უნდა შევისწავლოთ ჩინელი ტურისტების მოთხოვნები და სპეციფიკა და შევუქმნათ გარემო, სადაც დარწმუნებული ვარ, დიდი სიამოვნებით ჩამოვლენ“, - განაცხადა მამუკა გამყრელიძემ.

# რამდენმა ადამიანმა ისარგებლა დაგროვებითი პენსიით?

საპენსიო სააგენტომ 31 ივლისის სტატისტიკური მონაცემები გამოაქვეყნა.

სააგენტოს ცნობით, საპენსიო სქემაში გაწევრიანებულ მონაწილეთა რაოდენობა 1 მილიონ 539 ათასი ადამიანია.

ამასთან, მათივე ინფორმაციით, 2024 წლის 31 ივლისის მდგომარეობით, დაგროვებითი პენსიით უკვე ისარგებლა სხვადასხვა კატეგორიის 11 858-მა პირმა, მათზე პენსიის სახით გაიცა 42.3 მლნ ლარი.

სააგენტოს მონაცემით, საანგარიშო პერიოდში საპენსიო აქტივების ღირებულება, შეადგენს 5.3 მლრდ ლარს, მათ შორის დაგენერირებულმა ამონაგებმა 1.15 მლრდ ლარს გადააჭარბა.

# იანვარ-ივლისში საქართველოდან ექსპორტი 1.4%-ით შემცირდა,ხოლო იმპორტი - 2.9%-ით გაიზარდა

იანვარ-ივლისში საქართველოდან ექსპორტი 1.4%-ით შემცირდა, ხოლო იმპორტი - 2.9%-ით გაიზარდა. ამის შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური ავრცელებს.

კერძოდ, 2024 წლის იანვარ-ივლისში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 12.564 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1.6 პროცენტით მეტია.

მათივე ცნობით, აქედან, ექსპორტი 3.530 მლრდ აშშ დოლარი იყო (შემცირდა 1.4 პროცენტით), ხოლო იმპორტი 9.034 მლრდ აშშ დოლარი (გაიზარდა 2.9 პროცენტით).

ამასთან, უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2024 წლის იანვარ-ივლისში 5.504 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 43.8 პროცენტია.

# დღეში საშუალოდ 4 ათასამდე მიწის ნაკვეთი რეგისტრირდება – როგორია პროგრამის შედეგები?

დღის განმავლობაში საშუალოდ იზომება და რეგისტრირდება 3500-4000 მიწის ნაკვეთი - ამის შესახებ ინფორმაციას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

მათივე ცნობით, ამ დროისათვის, მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში აზომილია 1 250 000 -ზე მეტი მიწის ნაკვეთი.

„მიწის სისტემური რეგისტრაცია მთელი საქართველოს მასშტაბით, ქვეყნის 59 მუნიციპალიტეტში ხორციელდება (გარდა თვითმმართველი ქალაქებისა და ოკუპირებული ტერიტორიებისა). რეფორმის ფარგლებში საამზომველო სამუშაოები ქვეყნის მასშტაბით 42 მუნიციპალიტეტში დასრულებულია.

2022 წლიდან დღემდე აზომილია 1 250 000 - ზე მეტი მიწის ნაკვეთი. საკუთრების უფლება რეგისტრირებულია 850 000-ზე მეტ მიწის ნაკვეთზე.

პროექტით სარგებლობა ყველა მოქალაქისთვის არის სრულიად უფასო - როგორც მიწის აზომვის, ისე რეგისტრაციის პროცესი,“- აღნიშნულია რეესტრის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

შეგახსენებთ, რომ მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმა საქართველოში 2022 წლის 1-ლი იანვრიდან დაიწყო. რეფორმის დასრულების ვადად 2025 წლის 1-ლი იანვარია განსაზღვრული.

# რა კეთდება ქართული ვაზის და ღვინის განვითარებისთვის

„სწორმა დარგობრივმა პოლიტიკამ მეღვინეობა-მევენახეობის დარგი მნიშვნელოვნად გააძლიერა,“ - ამის შესახებ „ბიზნესპრესნიუსთან“ ღვინის ეროვნული სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა თამთა ყველაიძემ ვაზისა და ღვინის განვითარებასთან დაკავშირებით დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, ქვეყანაში გაშენდა ახალი ვენახები და შეიქმნა ათასობით ახალი საწარმო. ყველაიძის თქმით, ქართული ღვინის ხარისხი გაუმჯობესდა და საექსპორტო არეალი გაფართოვდა.

„სწორმა დარგობრივმა პოლიტიკამ მეღვინეობა-მევენახეობის დარგი მნიშვნელოვნად გააძლიერა. ფაქტია, რომ გაშენდა ახალი ვენახები, შეიქმნა ათასობით ახალი საწარმო. გაუმჯობესდა ღვინის ხარისხი, გაფართოვდა საექსპორტო ქვეყნების არეალი.

დარგის სწორად განვითარების მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტო ახორციელებს ბევრი მიმართულებით პროგრამებს, ერთ-ერთი ასეთი პროგრამაა ქართული ვაზისა და კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია, რომლის ფარგლებშიც სისტემატურად ხორციელდება არქეოლოგიური კვლევები.

მაგალითად, ბოლო პერიოდში საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ტორონტოს უნივერსიტეტის არქეოლოგების მიერ მარნეულის ველზე არსებულ სამ არქეოლოგიურ ძეგლზე აღებულ იქნა ნიმუშები, რათა ჩატარდეს ლაბორატორიული და ინტერდისციპლინარული კვლევები.

ასევე, შარშან დავასრულეთ კადასტრზე მუშაობა და წელს უკვე შედეგები შევჯამდა და მომზადდა კიდეც 2023 წლის ვენახების კადასტრის ანგარიში და ამ კუთხითაც, ვენახების აღწერას სააგენტო სისტემურად ახორციელებს - თუ გაშენდება ახალი ვენახი, მოექცევა კადასტრის ანგარიშში,“ - განაცხადა თამთა ყველაიძემ.

როგორც ღვინის ეროვნულ სააგენტოში აღნიშნავენ, ჩამოყალიბებულია ქართული ღვინის ექსპორტისთვის პრიორიტეტული ბაზრების ნუსხა, ესენია ამერიკა, სამხრეთ კორეა, გერმანია, იაპონია, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი და სხვები. გარდა ამ ქვეყნებისა, მიმდინარეობს მუშაობა საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებისთვის.

ცნობისთვის, 2024 წლის იანვარ-ივნისში ყურძნის ნატურალური ღვინის ექსპორტი წლიურად 24%-ით გაიზარდა. წელს საანგარიშო პერიოდში ექსპორტზე 156.07 მლნ დოლარამდე ღირებულების ქართული ღვინოა გატანილი, გასული წლის იმავე პერიოდში კი 125.71 მლნ დოლარზე მეტი ღირებულების.

**გვერდი მოამზადა**
**ჟუჟუნა ყანჩაშვილმა**




**გაზეთ „შირაქის" რედაქცია დედოფლისწყაროს მრავალწლიან ისტორიას ინახავს. უნიკალური ამბები სხვაგან არსადაა ასე დაცული, ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს არქივში შემონახული გაზეთის ძველი, გაყვითლებული ფურცლებიდან საინტერესო ამონარიდები კვლავაც შემოგთავაზოთ.**

## 1954 WELI

● MZIS SRULI DABNELEBA WELS, 30 IVNISS SAQARTVELOSIC MOXDA. CVENS RAIONSI MORRUBLULOBIS GAMO WITELWYAROEL MSROMELEBS AR MIECAT SASUALEBA DAHKVIRVEBODNEN BUNEBIS AM ISVIAT SANAXAOBAS. CNOBILIA, ROM MZIS SRULI DABNELEBA DEDAMIWIS ERTIDAIGIVE ADGILISTVIS 200-300 WELIWADSI ERTXEL XDEBA, AMITOM CVEN MAS VERAR VIXILAVT. MAGRAM, MZIS UAXLOESI SRULI DABNELEBA, ROMELIC SABWOTA KAVSIRIS TERITORIAZE GAMOCNDEBA, MOXDEBA 1961 WLIS 15 TEBERVALS. SRULI DABNELEBIS ZOLI GADAIWIMEBA 200 KM SIGANEZE, BULGARETSA DA RUMINETIS SAZRVREBIDAN YIRIMAMDE. SABWOTA KAVSIRIS MRAVALI ADAMIANI DATKBEBA AM SANAXAOBIT. SABWOTA MECNIEREBS KI MIECEMAT SASUALEBA, GAMOIKVLION MZIS FIZIKURI BUNEBA DA MISI GAVLENA DEDAMIWAZE.

## 1957 WELI

● WITELWYAROSI BOSTNEULI AR ISOVEBA!.. RAIONIS CENTRSI BOSTNEULIS MXOLOD ERTADERTI MARAZIAA, MAGRAM AQAC ISVIATAD ISOVEBA KARTOFILI, PAMIDORI, XAXVI, XILEULI DA SXVA. SOFLIS KOOPERATIVIS GAMGEOBAM GADAMWRELI ZOMEBI UNDA MIIROS IMISATVIS, ROM BOSTNEULIS MARAZIA TAVIS ZIRITAD DANISNULEBAS MTLIANAD AMARTLEBDES DA XALXI IMEDGACRUEBULI AR GADIODES MARAZIIDAN.

● SOFEL JAFARIZIS SAPARIKMAXEROSI SISTEMATIURAD IRRVEVA WESRIGI. IMIS MAGIVRAD ROM PARIKMAXEREBI S. YOCIASVILI DA V. QADAGIZE KULTURUL MOMSAXUREOBAS UWEVDNEN KLIENTEBS, XSIRAD KETAVEN KARS DA ZMABIWEBTAN RVINOS SVAMEN. SEMDEG KI, ROCA MOESURVEBAT, GAXSNIAN KARS DA NASVAM MDGOMAREOBASI AGRZELEBEN MUSAOBAS. UDISCIPLINO MOSAMSAXUREEBIS MIMART SATANADO ZOMEBI UNDA IQNAS MIREBULI.

● „SAQNAVTIS" WITELWYAROS KOMUNALURI KANTORA MUSATA SACXOVREBELI KORPUSEBIS SANAGVE YUTEBIS GASUFTAVEBAS YURADREBAS AR UTMOBS. AMIS GAMO NAGAVI MIWAZE IBNEVA DA IRGVLIV TERITORIAS ABINZUREBS. KANTORAM DA SANEPIDSADGURIS MUSAKEBMA SATANADO ZOMEBI UNDA MIIRON SANITARULI WESEBIS DASACAVAD DA MOQALAQETA SACXOVREBLAD JANSARI PIROBEBIS UZRUNVELSAYOFAD.

## 1961 WELI

● AGVISTOS BOLOS, SARAMOS 5 SAATZE ZEMO MACXAANSI, SAMUSAO SAATEBSI, AVTOMZROLMA S. BOSTASVILMA ZOMAZE METI RVINO DALIA DA GEDIQIS XEVIS MIMARTULEBIT DAESVA. SVLA MARALI SICQARIT GANAVITARA. ARBOSIKIS GZAZE, ERTERT MOSAXVEVSI, WYLIS ONKANTAN BAVSVEBI TAMASOBDNEN. RVINISGAN GONEBAGAMXIARULEBULMA MZROLMA MANQANA VERAR DAAMUXRUWA DA 13 WLIS BIWS DAEJAXA. IS IQVE GARDAICVALA. MZROLI ADGILZE DAAKAVES DA MALE WARSDGEBA SAMSJAVROS WINASE.

● DABA WITELWYAROSI SOFLIS KOOPERATIVIS GAMGEOBAM GAXSNA WURWLIS GAMQIRAVEBELI MARAZIA. MOMXMAREBLEBS SEUZLIAT, IQIRAON SADILIS DA SAUZMIS TEFSEBI, BOTLEBI, DANA-CANGALI, WIQEBI DA SXVA. GADAIXDIT PREISKURANTIT GATVALISWINEBUL TANXAS.

● `SIMTVRALIS DROS XULIGNOBISTVIS SAMJER NASAMARTLEVIA WITELWYAROSI MCXOVREBI DIMITRI OSADCI. MAGRAM, ROGORC CANS, SATANADO DASKVNA VER GAAKETA DA KVLAV ARRVEVS SAZOGADOEBRIV WESRIGS AMASWINAT SAKOLMEURNEO BAZARSI DATVRA, ATEXA CXUBI DA ERTI MOQALAQE DASWRADANIT. GAMOUSWOREBELI XULIGANI SASTIKAD UNDA DAISAJOS,~ - GVWERS MILICIIS UFROSI LEITENANTI A. XARASVILI.

● WELS RAIONIS MSROMELEBI WARMATEBIT IBRZVIAN XORCIS WARMOEBIS MNISVNELOVANI GADIDEBISTVIS. ISINI SUL AXAL-AXAL REZERVEBS AVLENEN NAKISRI VALDEBULEBEBIS PIRNATLAD GANARDEBISTVIS DA BEVRGAN KARG SEDEGSAC ARWEVEN. ARBOSIKIS KOLMEURNEOBAM 7 TVESI UKVE SUQEBIDAN MOXSNA DA SAXELMWIFOS MIHYIDA 834 SULI RORI, XOLO AMJAMAD SUQEBAZE UDGA 579 SULI, ROMELSAC MALE MIHYIDIS QVEYANAS. AM SAXELOVAN SAQMESI DID MONAWILEOBAS REBULOBEN AGRETVE MEZROXEOBIS FERMIS MUSAKEBI. SAWVELI ZROXIS BRIGADEBSI, SADAC ADGILZE AXDENEN RZIS GADAMUSAVEBAS, RZIS ANARCENEBS IREBEN ROREBIS GASASUQEBLAD. MAGALITAD MEZROXEOBIS # 2 BRIGADASI MWVELAVEBMA GAASUQES DA SAXELMWIFOS MIYIDES 5 TONAMDE RORIS XORCI, AMJAMAD SUQEBAZE YAVT 52 RORI. ROREBIS ASETI WESIT SUQEBA KIDEV ERTI DAMATEBITI REZERVIS GAMOVLINEBAA. MISI GAMOYENEBA MNISVNELOVNAD AIAFEBS WARMOEBULI PRODUQCIIS TVITRIREBULEBAS DA XELS UWYOBS XORCIS WARMOEBIS GADIDEBAS.

● SAQARTVELOS GASABWOEBISA DA KOMUNISTURI PARTIIS DAARSEBIS 40 WLISTAVIS ARSANISNAVAD SOFEL ZEMO MACXAANIS STALINIS SAXELOBIS KOLMEURNEOBIS MEFRINVELEOBIS FERMIS MUSAKEBS SORIS AXALI ZALIT GAISALA SOCIALISTURI SEJIBREBA. MEFRINVELETA TAVDADEBULMA SROMAM SEDEGI GAMOIRO. JAMURAD, TITO DEDALZE MIREBULIA 106 CALI KVERCXI. BRIGADEBS SORIS MOWINAVEA DARIKO RVEDASVILIS BRIGADA. AM BRIGADAM TITO DEDALZE UKVE MIITVALA 110 CALI KVERCXI.

● IVLISIS TVESI CVENI GAZETIS FURCLEBIDAN VIUWYEBODIT, ROM WITELWYAROS SASAKLAOS MSENEBLOBA WIANURDEBA. REDAQCIAM REIDI GANAXORCIELA DA MKACRAD GAAKRITIKA. PASUXAD, MSENEBLOBIS UFROSI INJINERI N. MWEDLISVILI GVWERS, ROM GAZETSI DAWERILI FAQTEBI SINAMDVILEA. SAQMESI ZEMDGOMI ORGANOEBIS CARTVIS SEMDEG NAKLOVANEBEBI GAMOSWORDA. REGULARULAD SEMODIS SASENI MASALEBI, UZRUNVELYOFILI VART TRANSPORTITA DA MUSAXELIT, MSENEBLOBA NORMALURAD MIMDINAREOBS.

● ARIAN ISETEBIC, ROMLEBIC SROMAS GAURBIAN DA OJAXS ARCXVENEN. ASETIA ARXILOSKALOELI B@@I VALIKO. ES VAJBATONI ARC WINAT IYO SAQMIS MUWUWI, MAGRAM GVEGONA DACOLSVILDEBA DA GAMOSWORDEBAO. AM PERIODSI ISETI DROA, ROM ITYVIAN WIANWVELAC SROMOBSO. MITUMETES BUCUKURS UKVE COL-SVILI HYAVS DA METI GARJA MARTEBS, MAGRAM KALOOBA ISE DAMTAVRDA TITI TITZE AR DAUKAREBIA. CEQMEBGAMOWKEPILI YOVELDRE BIRJAZE DGA DA ASE FLANGAVS DROS. KOLMEURNEOBIS XELMZRVANELEBMA SAMUSAO RAMDENJER SESTAVAZES, MAGRAM ARCERTI AR INDOMA. ASEVE SROMAS GAURBIS NUGZAR PATASURI. SXVA ARXILOSKALOELI MSROMELEBI KI MOITXOVEN, ISINIC CAEBAN SASARGEBLO SROMASI DA WVLILI SEITANON SAQMIANOBASI.

● ZEMO MACXAANSI 10 SEQTEMBRIDAN EQSPLOATACIASI GAESVA AXALI SAKOLMEURNEO ABANO, ROMELIC ERTDROULAD 30 KACS GAUWEVS MOMSAXUREOBAS. ABANO IMUSAVEBS PARASKEVS, SABATSA DA KVIRAS, ASE ROM, IS UKVE CADGA MACXAANELEBIS HIGIENIS DACVIS SAMSAXURSI.

● ARBOSIKIS KOOPERATIVIS WIN, GZAJVAREDINZE UAMRAVI XALXI SEYRILIYO. ZOGI COCQOLOBDA, ZOGIC BRAZOBDA. KOLMEURNEOBIS KANTORASI TAXTZE 12 WLIS BIWI IWVA, TUCI HQONDA GAXETQILI DA SISXLS VER UCEREBDNEN. TIRODA DA GULI UTRTODA. MAS DASTRIALEBDNEN DARAJI IVANE UTRUTASVILI DA DAMLAGEBELI ANA SEFIASVILI. KOLMEURNEOBIS TAVMJDOMAREM MIXEIL ALADASVILMA DAAMTAVRA TU ARA MILICIASTAN LAPARAKI, ANERVIULEBULMA GVIAMBO: TURME ES BAVSVI, ZAURI GOGASVILI DA MISI AMXANAGI GIVI SEFIASVILI TAMASOBDNEN, ZAURIS ASANTI GAUKRAVS DA NAPERWKALI GIVIS MOXVEDRIA. ATIREBULI, DAMWVARI XELIT MAMASTAN MIVARDNILA, MAMA GANRISXEBULA DA GZAJVAREDINZE UCEMIA ZAURI. ISE GATAVXEDEBULA, WAAQCIA DA SAXESI CASCA WIXLI, ABA ES KACOBAA?~.. ES `RAINDI~ KOLMEURNEOBIS TRAQTORISTI ZURAB SEFIASVILIA, MAN USATUOD PASUXI UNDA AGOS.

(STILI DACULIA)

მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

# კვლავ წარმატებით იასპარეზეს



რამდენიმე დღის წინ ქალაქ ახმეტაში გაიმართა რესპუბლიკური ტურნირი კიკ ბოქსინგში. შეჯიბრში მონაწილეობდნენ სხვადასხვა გუნდები, მათ შორის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო მაჩხაანის სპორტული კლუბი „ზაქები". ჩვენმა ნორჩმა სპორტსმენებმა ძალისხმევა არ დაიშურეს, რაზეც შედეგებიც მეტყველებს. ტურნირში მონაწილე შვიდი სპორტსმენიდან პირველი ადგილები დაიკავეს: ნიკა ჯაბაშვილმა, გოჩა ჩუთლაშვილმა, გიორგი უზუნაშვილმა, ვიტალი ცისკაძემ და რატი დაუთაშვილმა; მეორე ადგილის მფლობელები გახდნენ: მიხეილ ბაქარაშვილი და საბა ნატროშვილი. „ზაქების" მწვრთნელია გენადი ნატროშვილი.

# დედოფლისწყაროში ავტოსაგზაო შემთხვევას ქვეითად მოსიარულე ქალი ემსხვერპლა

***გასულ კვირას ავტოსაგზაო შემთხვევას მსხვერპლი მოჰყვა დედოფლისწყაროში. 14 აგვისტოს, გურჯაანის საავადმყოფოში გარდაიცვალა დედოფლისწყაროში მცხოვრები 52 წლის ქალი, რომელსაც 12 აგვისტოს ქალაქ დედოფლისწყაროში, მიკრორაიონის დასახლებაში ავტომანქანა დაეჯახა. ერთ-ერთი ვერსიით, ქვეითად მოსიარულე ქალს მსუბუქი ავტომანქანა უკუსვლით დაეჯახა და ზედ გადაუარა, რის შედეგადაც სხეულის დაზიანებები მიიღო. თვითმხილველები ამბობენ, რომ მძღოლმა დაშავებული დედოფლისწყაროს საავადმყოფოში თავადვე გადაიყვანა.***

საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დედოფლისწყაროს სამსახურის ხელმძღვანელმა ფატი ჯანყარაშვილმა გაზეთ „შირაქს" უთხრა, რომ მათთან შეტყობინება შევიდა, თუმცა მალევე გაუქმდა და ეკიპაჟი შემთხვევის ადგილზე არც მისულა.

„ცენტრალური საოპერატოროდან ჩვენთან შემოვიდა შეტყობინება ავტოსაგზაო შემთხვევის შესახებ. თუმცა, ვიდრე ჯგუფი მოემზადებოდა, ავტომანქანაში ჩასხდომის დროს განმეორებითი შეტყობინება შემოვიდა და გამოძახება გააუქმეს, რადგან თავად მძღოლმა შეიყვანა დაშავებული დედოფლისწყაროს საავადმყოფოში. ამდენად, ჩვენი ჯგუფის ადგილზე მისვლის აუცილებლობა აღარ იყო და ჩვენს სამსახურს ამ შემთხვევაზე სხვა ინფორმაცია არ აქვს, რადგან პროცესში არ ჩავრთულვართ. როგორც ვიცი, საავადმყოფომ მისი მდგომარეობა შეაფასა და კატასტროფის ცენტრის ეკიპაჟი გამოიძახა, რომელმაც ქალი გურჯაანში გადაიყვანა" – ამბობს ფატი ჯანყარაშვილი.

ოთხი შვილის დედა, ნათელა ხასმამედოვა, რამდენიმე დღის განმავლობაში კომატოზურ მდგომარეობაში გურჯაანის საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში იყო მოთავსებული. მედიკოსები ამბობენ, რომ გარდაცვალება სამი დღის შემდეგ სიცოცხლესთან შეუთავსებელი ტრავმების გამო დაფიქსირდა.

გარდაცვლილის შვილები ამბობენ, რომ დედას ველარავინ გააცოცხლებს, ამდენად, ისინი არ ჩივიან და სრულად ენდობიან გამოძიებას. ოჯახი „შირაქს" უდასტურებს, რომ ქალს ავტომობილი უკუსვლით შეეჯახა და გადაუარა.

შს დედოფლისწყაროს პოლიციის რაიონულ სამმართველოში ამბობენ, რომ მომხდარ შემთხვევაზე დაწყებულია მოკვლევა.

***ილია მარტყოფლიშვილი***

# ფსიქოლოგიური სავარჯიშოები

***ახალგაზრდა ქალმა მოგვმართა უძილობის ჩივილებით. ჩვენ მას შევთავაზეთ ქვემოთ მოყვანილი სავარჯიშო, რაც მას ძალიან გამოადგა. სავარჯიშოს გთავაზობთ თქვენც.***

**„დაძინება"**

ყურადღება მიაპყარით თქვენს სუნთქვას, დააკვირდით, როგორ შედის ჰაერი ფილტვებში ჩასუნთქვისას და როგორ გამოდის ამოსუნთქვისას. ყურადრება მიაქციეთ სხეულის რა ნაწილები მოძრაობენ სუნთქვის დროს. ახლა, შემდეგი ჩასუნთქვისას, ყურადრება მიაპყარით თქვენს შუბლს, დაძაბულია იგი თუ მოდუნებული? შემდეგი ჩასუნთქვისას მიაპყარით ყურადღება ქუთუთოებს-მოძრაობენ, კრთიან თუ უძრავად არიან? შემდეგი ჩასუნთქვისას ყურადღება მიაპყარით თვალის კაკლებს, შემდეგ ლოყებს, ცხვირს (დააკვირდით რა ტემპერატურის არის ჰაერი, რომელსაც ნესტოებით სუნთქავთ, ჩასუნთქვისას გრძნობთ თუ არა ცხვირში ბეწვების ნელ რხევას), პირს (გაღებული გაქვთ თუ მოკუმული, ტუჩები-სველი გაქვთ თუ მშრალი?), ენას, კბილებს, ყურებს (სხეულის სხვა ნაწილებთან შედარებით ისინი უფრო ცივი, თბილი თუ იგივე ტემპერატურისა არიან?), კისრის კუნთებს, ყელის კუნთებს და ა.შ. ვარჯიშის დამთავრებისას ყურადღება მიაპყარით ხელებს, მაჯებს, ტანს, ფეხებს, მაგრამ თუ ძალიან დაღლილი ხართ, ალბათ, სავარჯიშოს ბოლომდე შესრულება არ დაგჭირდებათ!

**ბესიკ გიგოლაშვილი**
***ფსიქოლოგი***

# რა არის პედაგოგისთვის ღირსეული ჯილდო?

*დღევანდელ ცხოვრებაში ჯილდო ყველა მიმართულებით არსებობს. ვინც იმსახურებს და იღწვის, პატიოსანი შრომით სასურველ შედეგს აღწევს კიდეც. სამწუხაროდ, ზოგჯერ ადამიანებს დაუმსახურებლადაც აჯილდოებენ. ამჯერად მინდა სამართლიანობაზე გავამახვილო ყურადღება. ჯილდოზე, რომელზეც ახლა ვისაუბრებ, ნამდვილად სასარგებლო და დიდი სახელია როგორც ინდივიდის, ისე ქვეყნის წინსვლისა და ბედნიერებისთვის.*

ზაფხული ყოველთვის ცხელია, მაგრამ განსაკუთრებით ცხელა სკოლის კურსდამთავრებულთათვის, პედაგოგების, მშობლებისა და ქვეყნის მესვეურებისთვის. როცა ეროვნული გამოცდების ციებ-ცხელება იწყება, აქ გამოჩნდება ვინაა ღირსეული, ვინ ჩაირიცხება სასურველ სასწავლებელსა და ფაკულტეტზე.

სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლაში წინა წლებისგან განსხვავებით მოსწავლეთა კონტინგენტი შემცირებულია. ამის მიუხედავად, ჩვენს სკოლაში (დირექტორი ლელა დარძული) მაინც გვყავს როგორც მედალოსანი, ისე უმეღლო ნიჭიერი ახალგაზრდობა. ისინი აღმზრდელებს შუქით და ენერგიით ავსებენ. ამჯერად მინდა გაგაცნოთ ქვემო ქედის სკოლის წლევანდელი კურსდამთავრებულები. სამი ახალგაზრდა, რომელთაც მეტნაკლები წარმატებით დაამთავრეს არა მარტო სკოლა, წარმატებით გაიარეს ეროვნული გამოცდები. ყველამ ვიცით, რომ დედაქალაქსა და დიდ ქალაქებში მომავალ თაობას ჩვენზე მეტი პირობები და რესურსი გააჩნია. მათ სოფელთან შედარებით მეტი ხელშეწყობა და გასაქანი აქვთ. თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ დღევანდელ რეალობაში საკმაოდ გაიზარდა ჩვენი რესურსი და შესაძლებლობები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი აღზრდილები სიბეჯითითა და ცოდნით არ ჩამოუვარდებიან ქალაქელ თანატოლებს.

წელს ქვემო ქედის სკოლას 7 მოსწავლიდან ორი მედალოსანი ჰყავდა. ოქროს მედლის მფლობელი გახდა **ბაჩანა ხარხელაური**, რომელმაც ეროვნულ გამოცდებზე მაღალი ქულები მოიპოვა ყველა საგანში. ოთხი გამოცდა წარმატებით დაძლია და ჩაირიცხება სამედიცინო ფაკულტეტზე, რაზეც ბავშვობიდან ოცნებობდა. როგორც ჩანს, ის მამის კვალს მიჰყვება. მამა - ავთანდილ ხარხელაური ჩვენი სოფლის (და არამარტო) უსაყვარლესი ექიმია. ბაჩანასაც პატარაობიდანვე სურს ექიმობა და ამ მიზნისკენ მიისწრაფვის. თუმცა, პედაგოგები მისგან უფრო მეტს მოველით და მოვითხოვთ, რადგან, როგორც ნათქვამია: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა!“-ო.



არანაკლებ ნიჭიერი და წარმატებული გახლავთ ჩვენი კიდევ ერთი კურსდამთავრებული, ვერცხლის მედლის მფლობელი, ხალისიანი გოგონა, სასკოლო ღონისძიებების ხშირი წამყვანი, ნათელი სახის და ძალზე მიმზიდველი — **სოფო ხუციშვილი**. როგორც სოფო გვიამბობს, მას სურს ხელოვნების ფაკულტეტზე ისწავლოს. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული მისი ქულათა რაოდენობის მიხედვით, არ არსებობს იმის საფუძველი, რომ ის სასურველ სპეციალობაზე, სასურველ ფაკულტეტზე არ მოხვდეს.

მათ მიჰყვება ბეჯითი, თავაზიანი და საქმიანი **ანა წიკლაური**, რომელსაც სკოლაში სწავლისას მედლამდე ცოტა დააკლდა, მაგრამ მესამე საპრიზო ადგილი ნამდვილად ეკუთვნოდა. ის პატარაობიდანვე ოცნებობდა დაწყებითი კლასების პედაგოგობაზე. მის მიერ მოპოვებული ქულებით ჩანს, რომ შეისრულებს ამ ოცნებას. საბოლოო პასუხები, რომელი აბიტურიენტი სად ჩაირიცხა, ან რა დაფინანსება მოიპოვა ჯერ კიდევ არ გამოქვეყნებულა, ამდენად, ყველა მოლოდინშია. ანა წიკლაური ამით ბებიის კვალს გაჰყვება, რომელიც უკვე დამსახურებულ პენსიაშია.

ეროვნული გამოცდების დასრულებისა და შედეგების გამოცხადების შემდეგ სამივე მათგანს შევხვდი და კითხვებით მივმართე. ჩვენს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა

— ***მოგცათ თუ არა სკოლამ საკმარისი ცოდნა გამოცდების წარმატებით ჩასაბარებლად?***

**ბაჩანა ხარხელაური:** „დიახ, ძირითად საკითხებზე პასუხები ადვილად ამოტივტივდა გონებაში, თითქოს ეიფორიაში ვიყავი ისე ვწერე, მაგრამ წარმატებით გამომივიდა.

**სოფო ხუციშვილი:** „უცბად ვიწყებდი წერას და თავი სკოლაში მეგონა, ისე გულდასმით ვწერე. როცა ჩემი ნაშრომი წავიკითხე, სიხარული დამეუფლა“.

**ანა წიკლაური:** „ცოტა ხანს შემკრთალი ვიჯექი, შემდეგ თავი ჩემი სკოლის მერხზე მჯდარი წარმოვიდგინე და წერას შევუდექი. არცთუ ცუდად დავწერე“.

— ***შედეგების გამოქვეყნებისა და ქულების ნახვის შემდეგ რა იგრძენით?***

**ბაჩანა:** „სახელი ვერ დავარქვი იმ სიხარულს, მაგრამ საკუთარ თავს ვუთხარი, რომ რამდენად ძირეულად გვასწავლიდნენ ჩვენი პედაგოგები თითოეულ საკითხს სკოლაში.

**სოფო:** „თვეების განმავლობაში ვიმეორებდი მეთორმეტე კლასში გავლილ მასალას. ძირფესვიანად გადავიმეორე და ვფიქრობ, „რაც დავთესე, ის მოვიმკე“.

**ანა:** „თუ რამე მაწუხებდა, ყველაფერი გაქრა და გამიჩნდა ახალი ფიქრი: „ნეტავ, როგორია სტუდენტობა?“ ვნახოთ, ვნახოთ...

— ***როგორ წარმოგიდგენიათ სტუდენტობის წლები?***

**ბაჩანა:** „მე და-ძმა სტუდენტები მყავს, ორივემ მედლები წაიღო უნივერსიტეტში. ისინი კმაყოფილები არიან და მეც მაგრძნობინებდნენ, რომ სტუდენტობა დიდ შრომას მოითხოვს. მაგრამ, ისიც ვიცი, რომ სწავლის მწარე ძირი კენწეროში გატკბილდებისო და მე ამის მჯერა!“

**სოფო:** „როცა სტუდენტობაზე ვვოცნებობდი პატარაობიდანვე ბეჯითად ვსწავლობდი და ამ შრომამ მართლა მომცა ე.წ. „გატკბილებული კენწერო“.

**ანა:** „მეც მათი კლასელი ვარ და ყოველთვის ვბაძავდი ბაჩანასა და სოფოს. ვფიქრობ ეს ყველაფერი ამად მიღირდა.“

ჩვენი კოლექტივის მიერ თავგადადებული და პროფესიონალური მუშაობის შედეგად ცოდნაშეძენილ მომავალ თაობას კვლავაც წარმატებებს ვუსურვებ. დამეთანხმებით, ამაზე უფრო ღირსეული ჯილდო არც არსებობს პედაგოგისათვის.

***გულნარა ტვილდიანი***

# ალა პუგაჩოვას სოფელ მირზაანში ჩასვლა სურს

ცნობილი მომღერალი ალა პუგაჩოვა დედოფლისწყაროში სტუმრობას გეგმავს. მისი მეუღლის მაქსიმ გალკინის განმარტებით, დივას სურს ფიროსმანის მშობლიურ სოფელ მირზაანში ჩავიდეს და ნიკალას გარემო მოინახულოს.

იუმორისტი ამბობს, რომ პოპ ვარსკვლავს მისი ყველაზე პოპულარული სიმღერის „მილიონი ვარდის” გამო ფიროსმანისა და მარგარიტას სიყვარულის ისტორია და ღატაკი მხატვრის ამბავი უკვე მრავალი წელია აინტერესებს. ამდენად, რადგან ახლა დივა რუსეთიდან გასულია და სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობს, შეძლებს მოახერხოს და სოფელ მირზაანში სტუმრობა დაგეგმოს. მას სურს ადგილზე ნახოს ნიკალას სახლ-კარი, ორიგინალები და გარემო, რომელმაც მხატვარს დიდი ნიჭი და სიყვარულის უნარი დაანათლა. დივამ რუსეთი უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყების შემდეგ დატოვა და პუტინის ხელისუფლება მკაცრად გააკრიტიკა. ამის გამო პუგაჩოვა ყველანაირი ღონისძიებიდან დაიბლოკა და ქვეყანაში შესვლა შეეზღუდა.

შეგახსენებთ, რამდენიმე თვის წინ მაქსიმ გალკინი თბილისში იმყოფებოდა, სადაც სოლო-კონცერტი გამართა. მაშინ მას მეუღლე თან არ ახლდა. ალა პუგაჩოვამ კი, სიმღერა „მილიონ ალიხ როზ“ კარიერის დასაწყისში ჩაწერა, მის სავიზიტო ბარათად იქცა და მრავალი ათეული წელია პოპულარობას არ კარგავს.

## ნოდარ და ცისანა ფიროსმანაშვილებს!

ბატონო ნოდარ! ქალბატონო ცისანა! გულითადად გილოცავთ თქვენი უმცროსი ვაჟიშვილის მხრიდან ტყუპების ივოს, სანდროს და თინას დაბადებას. მათ ახალგაზრდა მშობლებს ნიკა ფიროსმანაშვილს და ნუცა აბაზაძეს ვუსურვებთ სახელოვანი შვილების აღზრდას, მშვიდობიან საქართველოში ბედნიერ მომავალს!

უღრმესი პატივისცემით, **იზო და ნანა ოჯახებით.**


## ი ყ ი დ ე ბ ა !

**იყიდება დედოფლისწყაროში კერძო აგურის სახლი 170 მეტრკვადრატი, ბელეტაჟზე. მეტალოკრამიტის გადახურვით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებით. სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი შიგნით და კაფელ-მეტლახით გაკეთებული, ჭერზე „გიფსოკარდონებით“, გათბობით, ცივი და ცხელი წყლით. ყველაფერი ახალი გარემონტებული. ეზო 800 მეტრკვადრატი ხეხილით, რკინის კარით.**

**ფასი 34 700$ ტელ: 595 32 47 61**


## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 19.08 | | სამშაბათი 20.08 | | ოთხშაბათი 21.08 | | ხუთშაბათი 22.08 | | პარასკევი 23.08 | | შაბათი 24.08 | | კვირა 25.08 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 28 ° | 17 ° | 28 ° | 18 ° | 30 ° | 18 ° | 30 ° | 19° | 31 ° | 19 ° | 30° | 18 ° | 29 ° | 18 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ქუქუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
**გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი**